

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროცესის

მონიტორინგი და სამართლებრივი ანალიზი



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
აპრილი, 2017 წ.
ქ. თბილისი

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
გიორგი ზოიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
რუსლან ალექსიძე, მთავარი იურისტი.*

სამართლის ჯგუფი:
*არჩილ ნადირაძე,
მარიამ ფირცხალაიშვილი,
ია გოგნაძე,
გიორგი ჯოჯუა.*

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების,
პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

გიორგი ზოიძე – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778



1. შესავალი

საკითხის ისტორიულ-სამართლებრივი გააზრებისთვის, მნიშვნელოვანია აღნიშნვა გაკეთდეს ქ. თბილისის ურბანული განვითარების სამართლებრივი დოკუმენტების თაობაზე, ვინაიდან სწორი წარმოდგენა გვექონდეს განსახილველი პროცესისა და მისი შედეგების შესახებ. თბილისის ქალაქმშენებლობისთვის პირველი გენერალური გეგმა დამტკიცდა 1934 წელს. ქალაქის განვითარების მეორე გენერალური გეგმა მიღებულ იქნა 1954 წელს. თბილისის მესამე გენერალური გეგმა დამტკიცებულ იქნა 1972 წელს, რომლის მოქმედებაც განისაზღვრა 2000 წლის მდგომარეობით. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 25 მაისის #211 ბრძანებულების თანახმად, თბილისის მესამე გენერალურ გეგმას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. სწორედ აღნიშნული სინამდვილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის საკრებულომ 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით მიიღო გადაწყვეტილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ დამტკიცების თაობაზე. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენდა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღებული დოკუმენტი 2009 წლის 23 ივნისიდან აღრიცხულ იქნა ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. ფაქტობრივად, 2009 წელს მიღებული *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა* უნდა ჩაითვალოს თბილისის ურბანული განვითარებისა და ქალაქმშენებლობისთვის მოცემული განვითარების ეტაპზე, მეოთხე გენერალურ გეგმად.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაპყრობს სამართლებრივ დილემას, რომლის მიხედვითაც საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის* ცნება და მისი ნორმატიული შინაარსი. მართალია, ქალაქ თბილისის საკრებულომ 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ დამტკიცების შესახებ დაეყრდნო „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონთა საფუძვლებს, მაგრამ ზ/აღნიშნულ არც ერთ კანონში *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის* ცნება და მისი ნორმატიული შინაარსი არ მოიძებნება. *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის* ცნება და მისი ნორმატიული შინაარსი არ გვხვდება არც ერთ იმ კანონში, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში, თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს განმარტავდა.

2014 წლის 5 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“¹, რომლის მე-16 მუხლში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებად განსაზღვრულია „მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება“.

მნიშვნელოვანია მცირე მიმოხილვა შევქმნათ *ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის* მიღებამდე არსებულ საკანონმდებლო-ნორმატიულ დონეზე არსებული თბილისის პერსპექტიული განვითარების საპროექტო გეგმის სამართლებრივი რეგულაციის საკითხთან დაკავშირებით.

¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ძალაში შესვლის შემდგომ ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.

1. 1997 წლის 16 ოქტომბერს, მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლის მე-7 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით, დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავების და დამტკიცების ორგანიზება და კონტროლი მშენებლობის განხორციელებაზე. ამასთან, კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავდა სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, საკრებულოს უფლებამოსილება. ამ კანონით, საკრებულოს ზოგად კომპეტენციას განეკუთვნებოდა პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმების განხილვა და დამტკიცება, ხოლო კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საკრებულოსათვის წარსადგენად ქალაქში ისტორიულ-კულტურული, რეკრეაციული, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური დანიშნულების ზონების გამოყოფის, ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით განსაზღვრულ ზონებში მიწათსარგებლობის და საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული, სამრეწველო-საინჟინრო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო ქსელების მშენებლობის დადგენილი ნორმებისა და წესების შესახებ წინადადებების მომზადება, კონტროლი მათ დაცვაზე, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კულტურული მემკვიდრეობის–ისტორიულ–არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობის ძეგლების შენახვა და მოვლა-პატრონობა ევალდებოდა საკრებულოს აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას (მთავრობას).
2. 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“, რომლის მე-12 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს კონპეტენციას განეკუთვნებოდა ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება. ამავე კანონის 23¹-ე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, გარდა დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა, დამტკიცება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.
3. 2005 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომლის მე-16 მუხლის თანახმად, მხოლოდ თვითმმართველი ერთეული იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება შემდეგ საკითხზე: თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება“.
4. 2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, რომელიც მოიცავს მხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის ცნებებს და არა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის ცნებას და მის ნორმატიულ შინაარსს.

2015 წლის 21 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა კონკურსი. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 1 აგვისტოს. აღნიშნული დროისთვის წარმოდგენილ იქნა 11 საკონკურსო

წინადადება. ამავე დღიდან, საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენის მიზნით, მუშაობა დაიწყო საკონკურსო კომისიამ.

2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #1742 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურსა და უცხოურ საწარმო - „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ს ფილიალი საქართველოში“ (PricewaterhouseCoopers) შორის გაფორმდა #42030651A001/015 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია, საკონკურსო კომისიას, საკონკურსო განაცხადებზე მუშაობის პროცესში, უწევდა საკონსულტაციო მომსახურებას². აღნიშნული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 400 000 ამერიკული დოლარი.

შემოსული 11 განაცხადიდან მეორე ტურში გადასვლა ექვსმა კონკურსანტმა შეძლო. საბოლოოდ, საკონკურსო კომისიამ ექვსივე პრეზენტაციის შეფასების შედეგად, 3 გამარჯვებული გამოავლინა. პირველი ადგილი შპს „თბილისი ჯგუფის“, „სითი ინსტიტუტი საქართველო“, „Albert Speer & Partner GmbH“-ის (AS&P), ნიკოლოზ ჭეიშვილის და მამუკა სალუქვაძის მიერ წარმოდგენილმა ერთობლივმა პროექტმა დაიკავა. მეორე ადგილი, შპს „არტსტუდო პროექტის“, „Metrogramma Mobility in Chain“-ის, „Aecom“-ისა და გიორგი სულაბერიძის ერთობლივმა ნამუშევარმა, ხოლო მესამე ადგილზე, შპს „გეოგრაფიკის“, „KCAP“-ის, „Burohappold Engineering“-ის, „Studio 21“-ის და გიორგი გოცირიძის ერთობლივი პროექტი გავიდა.

2015 წლის 13 სექტემბერს, საკონკურსო კომისიამ „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ს ფილიალი საქართველოში“ რეკომენდაციით (11.09.2015 წ. საკონკურსო წინადადების შეფასების ანგარიში), გამოავლინა საუკეთესო საკონკურსო წინადადება (ოქმი #5) და გამარჯვებულად დასახელდა ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“, რომელიც დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავებისთვის თანამშრომლობს ისეთ იურიდიულ პირებთან, როგორებიცაა: „AS&P – Albert Speer & Partner GmbH“, Sarl „Atelier Alfred Peter Paysagiste“, Dr. Brenner Ingenieurgesellschaft MbH, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ „სენი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამტავრობო ორგანიზაციების ქსელი“ და სხვები.

გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარი. პირველ ადგილზე გასულ კომპანიასთან მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებას გააფორმებდა, რომლის საფუძველზეც, მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 18 თვეში, კომპანიას უნდა შეესრულებინა და წარმოედგინა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი.

2015 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა #7/25878 წერილით მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით. მიმართვას თან დაერთო საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი და მისი განმარტებითი ბარათი.

2015 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის #2212 განკარგულების თანახმად, ხელი მოეწერა თანხმობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ.

² <https://www.pwc.com/gx/en.html>

2016 წლის იანვარში, თბილისის გენერალური გეგმის განვითარებისთვის, ოფიციალური განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არსებობამდე, გარდამავალ პერიოდში განსაზღვრული რეგულაციები უნდა ამოქმედებულიყო. გენერალური გეგმის დასრულებას დაახლოებით წელიწადნახევარი სჭირდება, გარდამავალ პერიოდში რეგულაციების არარსებობა კი, საზოგადოებაში შემოფოთების საგანია. პრემიერი მიიჩნევდა, რომ ზუსტად უნდა განსაზღვრულიყო წესები, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული მხარეები გარდამავალ პერიოდში იმოქმედებენ. „ეს მნიშვნელოვანია, რათა რეგულაციების არარსებობის პირობებში, არ გაიცეს ისეთი ნებართვები, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს გარემოს, საცხოვრებელ ან სარეკრეაციო ზონას. გენერალური გეგმის არსებობამდე პერიოდი საზოგადოების სერიოზული შემოფოთების საგანია. კერძო დასახლების მცხოვრებლებს აწუხებთ ის, რომ მათ, შესაძლოა, ოთხივე მხრიდან კორპუსები აუშენონ. მოსახლეობას ამ მიმართულებით განუკითხაობის მოლოდინი აქვს და ეს საკითხი მოკლე ვადებში უნდა მოგვარდეს“, - განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა.³

2016 წლის მაისში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილ იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადებისთვის 6 თვის მანძილზე ჩატარებული სამუშაო ანგარიში. საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი დოკუმენტი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მიერ დადებითად შეფასდა და აღინიშნა, რომ „საკრებულოში წარმოდგენილი შუალედური ანგარიში ქალაქში არსებულ მდგომარეობას, როგორც ეკოლოგიური კუთხით, ასევე ტრანსპორტისა და ფუნქციური ზონების მიმართულებებით ზუსტად ასახავს“.⁴

ქ. თბილისის მერმა, 2016 წლის ანგარიშის წარდგენისას საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია 2017 წელს თბილისისთვის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნის თაობაზე. „გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორცაა: თბილისი, - ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურს - დამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, „ჭკვიანი ქალაქი“ (Smart City). აქვე გეტყვით, რომ გენგეგმაზე მუშაობის დასრულებამდე, ჩემი ინიციატივით, „თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდაზე შეზღუდვა დაწესდა“ - განაცხადა თბილისის მერმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტზე საერთაშორისო კონსორციუმი და დარგის 200-მდე სპეციალისტი მუშობდა.⁵

2017 წლის 24 მარტს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების პროცესის მონიტორინგში ჩართვის შესახებ და კონკურსში გამარჯვებული კომპანიის მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშების სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენის თაობაზე საჯარო განცხადება გააკეთა.⁶

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებაში აღინიშნა, რომ შეფასების საგანს წარმოადგენდა მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი დასაბუთების საკითხი. ამასთან, გამოცხადებული კონკურსის პირობები, გამარჯვებული კომპანიის გამოცდილება და კონკურსის ჩატარების გამჭვირვალობის შესწავლის საკითხი. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმის რედაქტირების პროცესში, წარმოდგენილი მიწათსარგებლობის გენერალური

³ <http://www.tabula.ge/ge/story/103924-premieri-tbilisis-gengegmis-arsebobamde-droebiti-tsesebi-unda-amogmeddes>

⁴ <http://www.city.kvira.ge/2016/06/04/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8>

⁵ <http://tas.ge/?p=content&type=3&news=71350>

⁶ http://barristers.ge/ge/page/news_item/990

გეგმის დოკუმენტის სრულ სამართლებრივ შეფასებას მოახდენდა, ორგანიზაცია საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართავდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც ინტერესის საგანს წარმოადგენდა მერიის მიერ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისთვის გამოცხადებული კონკურსის პირობები, ვადები, კონკურსში მონაწილე კომპანიების სია, კონკურსის სხვადასხვა ეტაპზე დაწინაურებული კომპანიების დასახელებები, გამარჯვებულ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რეკომენდაციები, მათი შესრულების ფარგლები და სხვა.

2017 წლის 6 აპრილს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, პირველადი სამართლებრივი შეფასება წარმოადგინეს⁷, სადაც ყურადღება დაეთმო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების საჯაროობის, თანხმობის დოკუმენტად ქცევის, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობისა და დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი საჯარო ინტერესებს არ პასუხობდა⁸.

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოითხოვა სხვადასხვა საჯარო და ადმინისტრაციული ორგანოებიდან, მათ შორის თბილისის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის ავტორი ორგანიზაციიდან. გამართა 2 პრესკონფერენცია, გაავრცელა 3 მედია-რელიზი, მონაწილეობა მიიღო 1 სადისკუსიო შეხვედრაში, აქტიურად ითანამშრომლა მასობრივ-საინფორმაციო საშუალებებთან. ორგანიზაციამ მოახდინა მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომი სამართლებრივი შეფასება. გაეცნო ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ შუალედურ ანგარიშებს, შეისწავლა საკითხთან მიმართებით მოქმედი კანონმდებლობა, ევროპული ქარტიები და კონვენციები, ყურადღება დაუთმო თემაზე ქართველი ექსპერტების შეხედულებებს, მონიტორინგის მომზადების დროს, მაქსიმალურად წარმოაჩინა პროცესთან დაკავშირებული ყველა მხარის აზრი და დამოკიდებულებები. შესაბამისად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილ მონიტორინგს გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია, რომელიც საკითხით დაინტერესებულ ყველა მხარეს საშუალებას მისცემს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადებაზე არგუმენტირებული მსჯელობისა და ალტერნატიული შეხედულებების გაჩენისთვის. მონიტორინგის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში საკითხზე ფართო დისკუსიას და შემდგომი რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს.

ორგანიზაცია მონიტორინგს გააცნობს პროცესში ჩართულ ყველა საჯარო და კერძო ორგანიზაციას და გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებსა და პოზიციებს, რომლებიც იქნება თემაზე შემდგომი დისკუსიისთვის საყურადღებო და დასაბუთებული.

⁷ <https://www.youtube.com/watch?v=uNZr476w92A>

⁸ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/996

2. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, არსებული სინამდვილის სამართლებრივი ანალიზი

საპროექტო მომსახურების – ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიზნით, ა(ა)იპ *სითი ინსტიტუტი საქართველო* 2015–2016 წლებში, გამოაქვეყნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების სამი კვარტალური ანგარიში⁹ და წარმოადგინა ხედვა ცვლილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე, რომელიც უნდა განხორციელებულიყო არსებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში და თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მოქმედ წესებში. ავტორთა აზრით, ამ ცვლილებების მიზანია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებამდე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დაუყოვნებლივ შეჩერება რეკომენდირებული ცვლილებების ფარგლებში და აღნიშნულის განხორციელება აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე მუშაობის პროცესში, უფლებამოსილი ორგანოების მიერ არ მომხდარიყო ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ისეთი რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ნეგატიურ გავლენას იქონიებდა არა მხოლოდ პროექტის დადგენილი წესით საკანონმდებლო იმპლემენტაციაზე, არამედ ქალაქის პერსპექტიულ განვითარებაზე.

საპროექტო მომსახურების – ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიზნით, შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების მიზნები და ამოცანები დაეყრდნო არსებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ნაკლოვანი მხარეებისა და ბოლო წლებში წარმოქმნილი ქალაქმშენებლობითი პრობლემების გადაჭრის საკითხებს. სწორედ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებულმა პროექტმა ძირითად ამოცანებად დაისახა: 1. მოსახლეობისათვის ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, 2. ექსტენსიურიდან ინტენსიურ განვითარებაზე ორიენტირება, 3. დედაქალაქის როლის განსაზღვრა აგლომერაციის ფარგლებში, 4. სოციალური, სამომსახურებო, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, 5. ქალაქმშენებლობითი პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტის გზების დასახვა, 6. საზოგადოებრივი სივრცეების, მათ შორის გამწვანებული არეალების, მოედნებისა და ქუჩების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბება, 7. ქალაქის ტერიტორიის მონოფუნქციურ სივრცეებად დაყოფის სანაცვლოდ შერეული ზონის სახეობების დაგეგმარება და ქალაქის „გამოცოცხლება“, 8. არსებული საცხოვრებელი უბნებისა და გარემოს გაუმჯობესება-გაჯანსაღება, 9. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და ინდივიდუალური ტრანსპორტის მოხმარების შემცირება, 10. ფეხმავალთა და არამოტორიზირებული ტრანსპორტის როლის გაძლიერება, 11. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შემცირება, 12. მდინარის „დაბრუნება“ ქალაქისათვის, 13. მთაწმინდის, მახათასა, ყენის მთების და მიმდებარე ფერდობებისათვის განაშენიანების კონცეფციის ჩამოყალიბება, 14. ე.წ. „ხრუმჩოვების“ და სხვა ამორტიზირებული ტერიტორიების რეკონსტრუქციის გზების დასახვა, 15. ქალაქის პოლიცენტრული განვითარების ხელშეწყობა, 16. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული საფუძვლების მომზადება, 17. გონივრული და ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობა, 18. პირობების გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, ინკლუზიური ქალაქის განვითარება.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების დოკუმენტმა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში პრიორიტეტი მიაანიჭა 5 შემდეგი ცვლილების განხორციელებას:

⁹ პირველი კვარტალური ანგარიშის პერიოდი: ოქტომბერი (2015) – იანვარი (2016), მეორე კვარტალური ანგარიშის პერიოდი: იანვარი (2016) – აპრილი (2016), მესამე კვარტალური ანგარიშის პერიოდი: აპრილი (2016) – ივლისი (2016).

1. „წესებში“ ცვლილებების საბოლოო ჩამოყალიბებამდე, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე მოხდეს ინტენსივობის გაზრდა მხოლოდ ერთი საფეხურით, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე. ამასთან ერთად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში თანხების შემცირების თავიდან ასაცილებლად, მოხდეს ინტენსივობის 20%-მდე ზრდის შემთხვევაში, მოსაკრებლისგან განთავისუფლების გაუქმება. ამასთან, აღნიშნული მოსაკრებლის გადახდა ინტენსივობის ზრდის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. მოსაკრებლის გადარიცხვა უნდა მოხდეს შესაბამისად განსაზღვრულ ანგარიშზე და უნდა მოხმარდეს მხოლოდ იმ უბნის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, რომელშიც ხდება ინტენსივობის მატება. ასეთი საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში, ინტენსივობის მატებით მიღებული თანხა უნდა მოხმარდეს სოციალური სახლების დაფინანსებას ქალაქის სხვადასხვა უბანში;
2. დიდ ტერიტორიებზე ფართობით (მინიმუმ 5000 კვ.მ.) სავალდებულო უნდა გახდეს განაშენიანების რეგულირების გეგმების დამუშავება და მხოლოდ ამის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. გარდა ფართობისა, თუ ტერიტორია წარმოადგენს შეუსაბამოდ გამიჯნულ მიწის ნაკვეთებს და ჰყვება ჩამოყალიბებულ გარემოში ჩამოუყალიბებელი ინფრასტრუქტურით, ასევე სავალდებულო უნდა გახდეს გრგ-ს დამუშავება. ამასთან, ამ ტერიტორიების მთლიანი ფართის 30% უნდა დაეთმოს გამწვანებულ სარეკრეაციო სივრცეებს. პროექტი, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქალაქგანვითარების ნორმატივს;
3. სარეკრეაციო ზონებში დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს საცხოვრებელი ფუნქციით მშენებლობებზე ნებართვის გაცემა. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მონიშნება საზღვრები შესაბამისი ზონირებით;
4. განაშენიანების ინტენსივობის ზრდის შემთხვევებისათვის დამუშავდეს ქალაქგეგმარებითი დასაბუთების ეტალონური პროექტი, სადაც სრულად უნდა იყოს ასახული ქალაქგეგმარებითი ნორმატიული მოთხოვნები;
5. ინტენსივობის მომატების შემთხვევაში სავალდებულო უნდა გახდეს ქალაქგეგმარებითი დასაბუთების შესრულება, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების დოკუმენტმა არსებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში პირველი ეტაპის გადაუდებელი ცვლილებების საკითხად დააყენა თბილისისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების არამართებული განვითარების შეჩერება. ტერიტორიები, რომლებსაც ცვლილებები (არ) უნდა შეეხო, დოკუმენტის ავტორთა აზრით, მდებარეობს: ა) მინდელისა და დიღმის ხიდს შორის, მინდელის ხიდის ჩრდილოეთით ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრამდე, ბ) არსენალის მთა, გ) თემქის დასახლებაში ხევის ტერიტორია, დ) კახეთის გზატკეცილის, ჯავახეთის, კალოუზნისა და წნორის წლის ქუჩებს შორის, 60-იანი წლების „ხრუშოვკებით“ განაშენიანებული არეალი, ე) კახეთის გზატკეცილის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიები, ვ) აღმაშენებლის ხეივანის გასწვრივ მდებარე დიღმის ტყე-პარკი, ზ) ხეივანი, რომელიც მიუყვება თამარაშვილის ქუჩას და დაფარულია სატრანსპორტო ზოლით, ი) ტერიტორია, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობასა და საბურთალოს სასაფლაოს ასახვევს შორის, კ) ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მდ. გლდანულას ხევისა და სარაჯიშვილის გამზირის გადაკვეთაზე, ლ) ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის ბორცვის აღმოსავლეთი ფერდის მიმდებარედ, მ) ტერიტორია, რომელიც მდებარეობს დადიანის ქუჩიდან თბილისის ზღვისკენ მიმავალი ხუდადოვის ქუჩის გასწვრივ, ნ) 26 მაისის მოედანი, ო) ვაზისუბნისა და ვარკეთილის საცხოვრებელი არეალების მიმდებარე ტერიტორია.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. ეს კანონი ადგენს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობა და ქალაქთმშენებლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით:

1. შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების გაწონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, ქვეყნის თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები;
2. განვითარდეს განსახლების დეცენტრალიზებული და პოლიცენტრული სტრუქტურა; საქმიანობა ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით იყოს სივრცით-ტერიტორიულად კონცენტრირებული და განვითარების ცენტრების სისტემაზე ორიენტირებული;
3. დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;
4. განხორციელდეს რეგიონული და სუბრეგიონული კავშირების გეგმარებითი უზრუნველყოფა;
5. შეიქმნას წინაპირობა საბინაო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის;
6. უზრუნველყოფილ იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაცულ იქნეს პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
7. დასახლებათა განვითარება ორიენტირებულ იქნეს ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს ადეკვატური სატრანსპორტო არტერიებისა და კვანძების შექმნით; პრიორიტეტი მიენიჭოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;
8. უზრუნველყოფილ იქნეს დასახლებათა, მათ შორის, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების, არქიტექტურულ-გეგმარებითი და მხატვრულ-ესთეტიკური სრულყოფა;
9. გაიზარდოს ქალაქების კონკურენტუნარიანობა ინვესტიციების მოზიდვის, დასაქმებისა და მოსახლეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად;
10. სასოფლო დასახლებები განვითარდეს ინტენსიურად, ქალაქებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე;
11. შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;
12. მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;
13. ხელი შეეწყოს მოწყვლადი ზონებისა და დეპრესიული რეგიონების გათანაბრებას;
14. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ იქნეს, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი;
15. შენარჩუნდეს ისტორიული და კულტურული კავშირები; კულტურული ლანდშაფტები მათი დამახასიათებელი ნიშნებით, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით;
16. შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები;
17. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს საჯაროობა;
18. უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;
19. ტერიტორიის ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.

აღნიშნული კანონის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს იმპერატიული მოთხოვნის უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერების განსაზღვრებას. კანონის მე-6 მუხლის თანახმად:

- **სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება:** ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი;
- **სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება:** ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი შინაარსობრივი განმარტება:

- **სივრცითი მოწყობა** – ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები;
- **ქალაქთმშენებლობა** – ქალაქგანვითარება (ურბანული განვითარება); დასახლებათა (მათ შორის, სასოფლო დასახლებათა) ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები;
- **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა** – საქმიანობა, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, მიწათ სარგებლობის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეკრეაციის სივრცით-ტერიტორიული პირობების, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს;
- **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა** – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს;
- **განაშენიანების რეგულირების გეგმა** – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-

გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას;

- **დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები** – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიებზე უძრავი ნივთების განვითარების, გამოყენების და მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს;

აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ტიპები და იერარქია მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა ხდება მიწათსარგებლობის დაგეგმვით (*მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა*) და განაშენიანების დაგეგმვით (*განაშენიანების რეგულირების გეგმა*). ამასთან, კანონი განსაზღვრავს, რომ „უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების თავსებადობა როგორც დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებს შორის, ისე სხვადასხვა ტერიტორიების გეგმებს შორის. იგივე პრინციპი არეგულირებს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებისა და დარგობრივი დაგეგმვის დოკუმენტების თავსებადობას“. ამასთან, „თუ შემუშავების, განხილვის, შეთანხმებისა და დამტკიცების პროცესში მყოფი გეგმა ეწინააღმდეგება რომელიმე დამტკიცებულ გეგმას, ასეთი წინააღმდეგობა უნდა დაიძლიოს ან დამუშავების, განხილვის, შეთანხმებისა და დამტკიცების პროცესში მყოფ გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, ან დამტკიცებული გეგმის ისეთი ცვლილებით, რომელიც უზრუნველყოფს გეგმების თავსებადობას“ (მე-11 მუხლი). „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძველების შესახებ“ კანონის 29-ე და 30-ე მუხლები ზუსტად განსაზღვრავს *მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის* მნიშვნელობას და მათი შესრულების სავალდებულობას ყველა სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და დაწესებულებისათვის და სახელმწიფოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის. აქვე, კანონი ადგენს, რომ „სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების განსხვავებული წესი. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოახდინოს ამ უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით დელეგირება სხვა სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოებზე“ (30-ე მუხლი, მე-8 პუნქტი).

აღნიშნული კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონების ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შინაარსთან, მოცულობასა და შემუშავების წესთან დაკავშირებული დამატებითი პირობები დგინდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით (30-ე მუხლი, მე-9 პუნქტი). ამ კანონში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი ნორმატიული შინაარსი:

- **ისტორიული განაშენიანება** – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე განაშენიანება;
- **ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო** – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული მხატვრულ-არქიტექტურული, სივრცითი, ლანდშაფტური ან სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტების ერთობლიობა;

- **კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა)** – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაც, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისაგან;
- **ურბანული ქსოვილი** – ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურების, მათ შორის, ქუჩათა ქსელის, მოედნების, ბაღების, შენობა-ნაგებობების, ეზოების ან საინჟინრო კომუნიკაციების ერთობლიობა;
- **ძეგლის მოვლა-პატრონობა** – ძეგლის (უძრავი ძეგლის – შემთხვევაში – ასევე მისი ტერიტორიის) დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვის, მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37–ე, 38–ე და 39–ე მუხლებით განსაზღვრულია ისტორიული განაშენიანების, განაშენიანების რეგულირებისა და ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონებისა და რეჟიმების დადგენა. მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს ამ კანონით სავალდებულო რეგულაციებსა და პირობებს:

1. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირება, ქალაქის გარემოს გაჯანსაღება, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოება, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაცია;
2. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისტორიული გარემოს დაგეგმარების, განაშენიანების, ლანდშაფტის შენარჩუნება, მათი დაკარგული ელემენტების აღდგენის შესაძლებლობა.
3. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: სამშენებლო ობიექტი ენაცვლება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მოკლებულ შენობას, ნაგებობას ან საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელს და სამშენებლო საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი (შეავსოს ისტორიულ განაშენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სიცარიელები, შეცვალოს ღირებულ შენობებს შორის მოქცეული არაღირებული ნაგებობები, გაათავისუფლოს სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანი ნაგებობებისაგან, თავდაპირველი სახით აღადგინოს მისი ისტორიული გარემო და სხვა);
4. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულმა ორგანომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასცეს ნებართვა ისეთი ტერიტორიის განაშენიანებაზე, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული;

5. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელის შეცვლა, გაფართოება, ნიშნულების ამაღლება, დაწევა ან სხვა ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი გეგმარებითი და მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე, ისტორიულ იერსახესთან მაქსიმალურად მიახლოებით;
6. განაშენიანების რეგულირების ზონაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცითი დომინანტების განმტკიცება და აღდგენა გარემოს არქიტექტურულ-სივრცობრივ ორგანიზაციაზე, მეგლებისათვის და კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტებისათვის არქიტექტურული და სივრცითი გარემოს, ისტორიულად ჩამოყალიბებული დაგეგმარების სტრუქტურის ან მისი ფრაგმენტების შენარჩუნება;
7. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონად განისაზღვრება ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი, სასოფლო ან ურბანული ტერიტორია, რომლის ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ ადამიანის საქმიანობის შედეგია ან რომელიც ცალკეული მეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოა.

ზემოთ აღნიშნული ღირებულებების, პრინციპებისა და მათი განხორციელების სტრატეგია მიზნად დაისახა 2009 წლის 5 ივნისს მიღებულმა *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურმა გეგმამ*, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულომ მიიღო. აღნიშნულ დოკუმენტს, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირებადი ტერმინთა მიღმა, შემოაქვს ორი ტერმინოლოგიური ცნება და მათი ნორმატიული შინაარსი. კერძოდ, *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმის* ტექსტში შემოდის „ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის“ ცნება და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურმა გეგმის“ ცნება, რასთანაც გაიგივებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცნება და მისი ნორმატიული შინაარსი:

- **ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია** – ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული პროექტის წინა და საპროექტო დოკუმენტების ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოადგენს დასახლებათა სამართლებლივ, ტერიტორიულ-სივრცითი და ფუნქციური განვითარების საფუძველს;
- **დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა** - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, საინჟინრო სატრანსპორტო, და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

2014 წლის 15 იანვარს საქართველოს მთავრობის #59 დადგენილების საფუძველზე, დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“. აღნიშნული რეგლამენტით განისაზღვრა დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების წესები, დასახლებათა მდგრადი განვითარების მიზნით, კერძო და საჯარო ინტერესების უზრუნველყოფა.

2014 წლის 30 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ #20-105 დადგენილებით, მიიღო გადაწყვეტილება *დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ*¹⁰. მიღებული დადგენილება დაეფუძნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. დოკუმენტის ტექსტში გამოყენებული ძირითადი ცნებები სიტყვასიტყვით მეორდება, რაც წარმოდგენილ იყო 2009 წლის 5 ივნისს მიღებულ *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის* შინაარსში. მგგ-ის მე-2 მუხლის თანახმად:

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელსაც თან ახლავს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, დამუშავებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ მოთხოვნათა შესაბამისად და წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა მოიცავს დედაქალაქის მთელ ტერიტორიას „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის N574 განკარგულებით და „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173-რს დადგენილებით დამტკიცებულ საზღვრებში;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, როგორც ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, განსაზღვრავს ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს, აგრეთვე განსახლების ტერიტორიულ საკითხებს და მოქმედებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2014 წლის 30 დეკემბრის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გარდამავალ დებულებებში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა და შემდგომში ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა, მის ხელთ არსებული ყველა ანალიტიკური, კვლევითი, გეგმარებითი და ტექნიკური ხასიათის მასალებიდან დააზუსტა დედაქალაქის ტერიტორიების განვითარების ზოგადი და ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული ზონები, დაამუშავა მისი ტექსტური ნაწილი და უახლოესი პერიოდის მოსალოდნელი საჭიროებების შესაბამისი ოპერატიული განვითარებისათვის შეიმუშავა შემდეგი ქალაქგეგმარებითი წინადადებები და აღინიშნა, რომ ჩამოთვლილი ქალაქგეგმარებითი წინადადებების აუცილებელი განვითარება, უახლოეს მომავალში მოითხოვს კონკრეტულ უზრუნველყოფას საპროექტო დოკუმენტაციით, რეალიზაციის გრაფიკით, შესაბამისი ფინანსური რესურსებითა და ადმინისტრაციული გადაწყვეტით:

ა) რკინიგზასთან დაკავშირებული სამეურნეო ფუნქციების (სასაწყობო, დამხარისხებელი, სარემონტო და სხვა) გატანა თბილისის ცენტრალური ნაწილიდან. დიდუბისა და ნავთლულის მიმდებარედ კვანძებში მაღალი კატეგორიის პოლიფუნქციური საზოგადოებრივ-საქმიანი სივრცის ჩამოყალიბება

¹⁰ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2669598>

- ბ) ქალაქის ცენტრალური ტერიტორიიდან სარკინიგზო ფუნქციის გატანის შემდგომ დიდუბის სადგურიდან ცენტრალურ ვაგზალამდე გამოთავისუფლებული ტერიტორიის (დაახლ. 150.0 ჰა) ათვისება მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრის დანიშნულებით;
- გ) საქალაქო მნიშვნელობის რეგულირებადი (უწყვეტი) მოძრაობის მაგისტრალის შექმნა - კახეთის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის გამზირი - ავჭალის შოსე;
- დ) ვახუშტის ხიდის მიმართულების გაგრძელება ცოტნე დადიანის გამზირამდე;
- ე) ავჭალის გზის გაგრძელება-რეაბილიტაცია დასავლეთის მიმართულებით და მისი მიერთება შემოსავლელ (სატრანზიტო) მაგისტრალთან;
- ვ) ინტენსიფიკაციის ქუჩის რეაბილიტაცია და კავშირი დავით აღმაშენებლის ხეივანთან და ვაშლიჯვარის ჩამოსასვლელი მარშალ გელოვანის გამზირზე;
- ზ) „ვაკე-საბურთალო 2“, დოლიძის ქუჩის გაგრძელება და მიერთება ვაკესთან, გვირაბის გაჭრა იპოდრომისკენ;
- თ) აგლამის ქუჩაზე არსებული ვიწრო ყელის გაფართოება კერესელიძის ქუჩის გადაკვეთაზე;
- ი) „კუს ტბასთან“ მისასვლელი პარალელური გზის აღდგენა;
- კ) აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე კვანძი (რობაქიძის გამზირი);
- ლ) კრწანისიდან შინდისის მიმართულებით გზის გაყვანა.

როგორც უკვე აღინიშნა, 2015 წლის 21 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა კონკურსი, სადაც გამარჯვებული ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო გახდა“.

2015 წლის 13 ოქტომბერსა და 15 ოქტომბერს, გამარჯვებულ ორგანიზაციასთან: „სითი ინსტიტუტი საქართველო“ გაფორმდა ორი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2015 წლის 13 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების საგანი გახდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შესყიდვა და მასთან დაკავშირებული საავტორო უფლებების გადაცემა. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 50 000 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 31 დეკემბერი.

2015 წლის 15 ოქტომბერს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შორის გაფორმებული ახალი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საგანი გახდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების შესყიდვა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და მასზე საავტორო უფლებების გადაცემა, ხელშეკრულებით შეძენილი სამი საკონკურსო წინადადების გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ გაცემული გეგმარებითი დავალების პროექტით დადგენილი შინაარსითა და მოცულობით. საპროექტო მომსახურებამ ასევე მოიცვა ქალაქის ტერიტორიის გამოყენების არსებული გეგმის - „საყრდენი გეგმის“ სამუშაოების შესრულებაც. ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 800 000 ლარი, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების საერთო ვადად შეადგინა ხელშეკრულების ხელმოწერიდან პერიოდი 20 თვის მდგომარეობით. აღნიშნულ ხელშეკრულებაში, 2017 წლის აპრილის თვის მდგომარეობით, განხორციელდა ხუთი ცვლილება, კერძოდ: 2016 წლის 28 იანვარს, 2016 წლის 20 ივნისს, 2016 წლის 10 ოქტომბერს, 2016 წლის 4 ნოემბერსა და ბოლო მონაცემით, 2017 წლის 6 აპრილს. განხორციელებული ცვლილებების მიზანს, ძირითადად წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ხელშეკრულებით დადგენილი ვადების გახანგრძლივება. 2017 წლის 6 აპრილის მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულების საერთო ვადად შეადგინა 23 თვე და საბოლოო ეტაპზე მისაწოდებელი მასალის შემსყიდველისთვის წარდგენის ვადად, ნაცვლად მე-18 თვის ბოლო სამუშაო დღისა, განისაზღვრა მე-19 თვის ბოლო სამუშაო დღე.

3. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესწავლის პროცესი

2017 წლის 22 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:¹¹

1. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნის მიზნით გამოცხადებული კონკურსის პირობები, ვადები, კონკურსში მონაწილე კომპანიების სია, კონკურსის სხვადასხვა ეტაპზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაწინაურებული კომპანიების დასახელებები;
2. მოგვაწოდეთ დოკუმენტური ინფორმაცია, თუ რომელი პირობებისა და წარმოდგენილი წინადადების გამო, ყველა სხვა პრეტენდენტთან მიმართებით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ აღმოჩნდა უპირატესს მდგომარეობაში და გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში?
3. მოგვაწოდეთ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“, კონკურსის შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ასლი 2017 წლის 22 მარტის მდგომარეობით;
4. მოგვაწოდეთ, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ კონკურსის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ წარმოდგენილი ყველა ანგარიში. მისაღებია ანგარიშების წარმოდგენა ელექტრონული ფორმით.
5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შედეგად, შემოთავაზებული რეკომენდაციების რა ნაწილი და რა ფორმით იქნა გაზიარებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან. რა სამართლებრივი აკრძალვები ან/და მოქმედებები განხორციელდა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად. (გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნულ ნაწილში დეტალური ინფორმაცია);
6. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მოქმედი დოკუმენტი 2017 წლის მდგომარეობით;
7. გთხოვთ, მოგვაწოდოთ „ძველი თბილისის ურბანული განვითარების კონცეფცია“ 2017 წლის მდგომარეობით;
8. გთხოვთ მოგვაწოდოთ ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წელს დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“ (2017 წლის მდგომარეობით);
9. გთხოვთ, მოგვაწოდოთ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყოფისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ 2017 წლის მდგომარეობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 აპრილის #07/2821-13 წერილის თანახმად, ორგანიზაციას გამოეგზავნა კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

¹¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 22 მარტის #80 მიმართვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, დავით ნარმანიას მიმართ. ადმინისტრაციულ ორგანოში წერილის რეგისტრაციის #10/01170811586-01

2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე <http://contest.procurement.gov.ge> და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე <http://tas.ge> 2015 წლის 21 მაისს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში სამსახურში შემოსულ პრეტენდენტთა საკონკურსო წინადადებები, პრეზენტაციები, მათი შემდგომი შეფასების ოქმები (ოქმი N5), რაც გახდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრებისა“ და „საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების შესყიდვის“ მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველი. ასევე, ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებები და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სამი ეტაპის მასალები. ამასთან, ორგანიზაციის ეცნობა, რომ ამ დროისათვის, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ წარმოდგენილია ხუთი ეტაპის დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეოთხე და მეხუთე ეტაპის მასალების განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რის შემდეგაც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა აღნიშნული დოკუმენტაცია გაეცა. ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან გათვალისწინებულ იქნა კ2 კოეფიციენტის გადამეტების აკრძალვის საკითხი ქალაქ თბილისის გარკვეულ ტერიტორიებზე (იხ. ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირების რუკა). კერძოდ, დამუშავდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ახალი წესები (24/05/2016, დადგენილება N14-39), სადაც აისახა შესაბამისი აკრძალვა და შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში - დამტკიცდა ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირების რუკა, რომელიც დაემატა უფლებრივი ზონირების ნაწილს (24/05/2016, დადგენილება N14-40). წერილის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით - „ძველი თბილისის ურბანული განვითარების კონცეფცია“ მომზადდა შპს დისტანციური ზონირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“-ს მიერ თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით, სათაურით „ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა“, „ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა“-ის ძირითად რუკაზე არსებული 1768 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, შეირჩა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, 2007 წელს დადგენილი ნუსხის მიხედვით. ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოთაღნიშნული კონცეფცია დამტკიცებული არ არის და წარმოდგენს მხოლოდ სარეკომენდაციო ტიპის დოკუმენტს. გიგზავნით ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის გრაფიკულ ნაწილს“¹².

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“¹³ და მოითხოვეს შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. რამდენად უზრუნველყო ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ საპროექტო წინადადებაზე მუშაობის დროს საერთაშორისო გამოცდილების, სტანდარტებისა და სპეციალისტთა გამოცდილებისა და მათი რეკომენდაციების გაზიარება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიგვითითოთ, რა ფორმით იქნა აღნიშნული ინფორმაცია მოძიებული და გაზიარებული?
2. ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების შედგენამდე, რა ტიპის კვლევები ჩაატარა სრულყოფილი და რელევანტური დოკუმენტური წინადადების წარმოდგენისთვის და შესაქმნელად?

¹² ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 აპრილის #07/2821-13 წერილი;

¹³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #97 მიმართვა ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორ მამუკა სალუქვაძის მიმართ.

3. ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ განხორციელდა თუ არა იმ ტერიტორიების წინასწარ შესწავლა, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხას მიეკუთვნება. რა პრევენციული ღონისძიებები და სამართლებრივი გარანტიებია შემოთავაზებული თქვენი საპროექტო წინადადებების მხრიდან, რაც დედაქალაქში უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის უვნებლად შენარჩუნებას?
4. არსებობს თუ არა თქვენი ორგანიზაციისთვის წინასწარ შემუშავებული ურბანული ინდიკატორების სისტემა, რის მიხედვითაც განისაზღვრება საბოლოო შედეგის მიმართება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან?
5. გთხოვთ, მოგაწოდოთ ინფორმაცია, საპროექტო წინადადების დოკუმენტში რატომ არ არის წარმოდგენილი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების შემთხვევაში, ახალი გეგმის იმპლემენტაციის ფინანსური ანგარიშის თაობაზე? მუშაობს თუ არა აღნიშნულზე ორგანიზაცია თუ საკითხი მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის განსაზღვრულ კომპეტენციას?
6. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, მონაწილეობდა თუ არა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების საპროექტო წინადადების წარმოდგენის პროცესში ადგილობრივი ბიზნესს სფეროს წარმომადგენლები და რა პოზიცია არსებობს მათი და ორგანიზაციის მხრიდან დედაქალაქის ცენტრიდან სტრატეგიული ობიექტების ქალაქგარეთ გადატანასთან დაკავშირებით?
7. ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებისთვის წარმოდგენილ პროექტს ეწოდა „თანხმობის დოკუმენტი“. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რამდენად საკმარისია საზოგადოების ჯგუფების ჩართვა პროცესში მათი ინფორმირებისა და თანამონაწილეობის გაზრდის მიზნით და რა ღონისძიებებს მიმართა ორგანიზაციამ პროცესის მეტი საჯაროობისა და გამჭვირვალობისთვის?
8. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის გამოცდილებისა და ურბანული ხასიათის პროექტების განხორციელების თაობაზე?

ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ 2017 წლის 21 აპრილის წერილის თანახმად, პასუხი გაეცა ორგანიზაციის მიერ დასმულ ყველა კითხვას და კვლევის ფარგლებში, წარმოდგენილ იქნა საპროექტო ჯგუფის შემდეგი პოზიცია:

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაო პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ ისეთი საერთაშორისო პარტნიორი და კონსულტანტი ორგანიზაციები, როგორცაა: ქალაქგეგმარება - „AS&P – Albert Speer & Partner GmbH“, ქალაქგეგმარება/ლანდშაფტი - Sarl „Atelier Alfred Peter Paysagiste“, ტრანსპორტი - „DR. BRENNER INGENIEURGESELLSCHAFT MBH“, ქალაქგეგმარება - „SteinbeisBeratungszentren GmbH“, საზოგადოებრივი გეოგრაფია - FraunhoferInstitute for Industrial Engineering IAO“, ეკონომიკა - Matinus Kanters. პარტნიორ ორგანიზაციებთან ინტენსიური შედეგდრებისას განხილული იქნა კონცეპტუალური გადაწყვეტილებები, როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე სატრანსპორტო, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური მიმართულებით. პრაქტიკულად ყოველთვიურად, თბილისში გამართული Workshop-ების, სისტემატური სატელეფონო და ინტერნეტ კავშირების განმავლობაში გამოვლინდა ქალაქის მასშტაბით პრობლემის შემცველი ძირითადი საკითხები და მაქსიმალურად იქნა

გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილება მოცემული საკითხების გადაწყვეტისას;

- „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ და მისი პარტნიორების მიერ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროცესში ჩატარდა გეგმარებითი დავალების პროექტით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თბილისის ფიზიკური და იურიდიული გარემოს კვლევები;
- როგორც ცნობილია, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების ერთ-ერთი პირობა, თბილისის ისტორიული ნაწილის არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა და მისი მდგრადი განვითარება. იგივე კონტექსტში განიხილება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. ამიტომ ეს საკითხი მგგ-ს კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა.

მგგ-ს მომზადების პროცესში ჩვენს მიერ დამუშავებულია ნაშრომი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის ისტორიასთან. ნაშრომი შედგება ორი ძირითადი ქვეთავისაგან. პირველი მოიცავს ქალაქის ისტორიული განვითარებისა და მისი ქალაქმშენებლობითი განვითარების ეტაპებს, ხოლო მეორე ქვეთავში გადმოცემულია ქალაქის თითოეული უბნის განვითარების სტრუქტურის ისტორიულ-არქიტექტურული ანალიზი.

ასევე მნიშვნელოვანია აქამდე არსებული მსგავსი სამუშაოების შეფასება. ამიტომ ჩვენს მიერ შესრულებულია ამ ტიპის სამუშაოთა ანალიზი და შეფასებულია მათი რეკომენდაციები.

თბილისის ისტორიული ნაწილის შესანარჩუნებლად აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის მეთოდოლოგიურად გამართული ზონების, მათი კანონიერი საზღვრებისა და რეჟიმების არსებობა, რის გამოც ეს თემა წარმოადგენს გეგმარებითი დავალების ერთ-ერთ პუნქტს. (მგგ-ს დავალება, გვ.20).

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, უფრო ადრინდელ საკანონდებლო აქტებზე და სამთავრობო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით დადგენილია 2007 წელს დამტკიცებული საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. ჩვენს მიერ შესწავლილია ამ ზონების დადგენის ისტორია და გამოვლენილია მათი ლეგიტიმური საზღვრები.

ასევე ჩვენი შესწავლის საგანია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები ისტორიული განაშენიანების დამცავი ზონების გარეთ. ეს არის არქიტექტურის, საინჟინრო, მემორიალური, მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლები. ეს ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულებია, რომელთა მიმართ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, კერძოდ სასურველია ამ ობიექტებისათვის დაცვის არეალების (ზონების) დადგენა და რუკის შექმნა.

მხატვრული ღირებულების გარდა მათი მნიშვნელობა ისტორიული მახსოვრობის კრიტერიუმითაც განსაზღვრება, როგორც ისტორიის როლის შენარჩუნება (კანონი თავი VIII, მუხლი 35.1). ჩვენს მიერ ასევე დამუშავებულია სხვადასხვა რელიგიურ ნაგებობათა რუკა. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, თბილისის ისტორიული განაშენიანების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების შენარჩუნების გარანტიას იძლევა, მაგრამ მთავარი მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ ამგვარ დებულებათა პრაქტიკაში დამკვიდრება და მყარი ნიადაგის შექმნა ისტორიული მემკვიდრეობის ხელყოფის არასასურველი მცდელობების წარსულში უპირობოდ დასატოვებლად. მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში ეს გახდეს მიზანი ამ საქმიანობით დაინტერესებულ სპეციალისტთა და გადაწყვეტილებათა მიმღებთათვის;

- საქალაქო (ურბანული) ინდიკატორები თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების მე-3 ეტაპზე შემუშავდა (საქალაქო ინდიკატორები, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება, მესამე ეტაპის ანგარიში, 2016). აღნიშნული გულისხმობდა გაეროს დასახლებათა სააგენტოს -UN -

Habitar-ის ურბანული ინდიკატორების აპრობირებას ქ. თბილისისათვის. ამასთან ჩვენი ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულია ინდიკატორების შეგროვების ოპტიმალური პერიოდულობა, რაც ორი წლის ვადით განისაზღვრა (მაშინ როცა გაეროს მეთოდოლოგია გულისხმობს 5 - წლიან ციკლს). აღნიშნული სისტემით შესაძლებელია ქ. თბილისის მთავრობის მიერ, მიწათსარგებლობის გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგი;

- ბუნებრივია, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფში მოხდა სავარაუდო გაანგარიშებების ჩატარება კონკრეტული გადაწყვეტილებების ინპლემენტაციასთან დაკავშირებით. (ნაგულისხმევია - მგგ-ის ფინანსური უზრუნველყოფის შემდგომი საკითხი - ავტ). აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის მომზადებას;
- ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების აღნიშნული ეტაპის მდგომარეობით, არცერთი სტრატეგიული ობიექტი დედაქალაქის ცენტრიდან არ გადადის ქალაქგარეთ. ამასთან ქალაქის ცენტრში მდებარე სტრატეგიული ობიექტებიდან, განიხილება წინადადება საქართველოს რკინიგზის 10 კმ-იანი მონაკვეთის ადგილმონაცვლეობის შესახებ ალტერნატიულ ტერიტორიაზე, რომელიც აგრეთვე ქალაქის საზღვრებშია მოქცეული. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვმონაწილეობთ მოლაპარაკებებში საქართველოს, ქალაქ თბილისის მთავრობასთან და საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებთან;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენეტარული გეგმის განახლების სრულყოფის მიზნით შეიქმნა „საზოგადოებრივ-სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო“, რომელიც ჩამოყალიბდა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. აღნიშნული საბჭოს შექმნა იყო ჩვენი ხედვის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი, საზოგადოებრივი ჩართულობისა და ინფორმირების მიზნით.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების ფარგლებში გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა და შეხვედრა, სატელევიზიო გადაცემების, ინტერვიუების და ასევე საპროექტო ჯგუფის მხრიდან გამართული პრეზენტაციების სახით. ამჟამად მიმდინარეობს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების (1-4 ეტაპის) გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წარმოგიდგინთ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ სოციალური ქსელის ელ.მისამართს, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებას დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოებთან დაკავშირებით: <https://www.facebook.com/cityinstitutegeorgia>

- ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა შემდეგ კონკურსებში: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადებული საკონკურსო განცხადება - საპროექტო მომსახურება - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა¹⁴.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს¹⁵ და მოითხოვეს შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება:

¹⁴ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორ მამუკა სალუქვაძის 2017 წლის 21 აპრილის წერილი;

¹⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #96 მიმართვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძის მიმართ.

1. 2017 წლის 27 მარტის მდგომარეობით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“ (ს/კ 404496675), გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა ხელშეკრულების ასლი;
2. 2017 წლის 27 მარტის მდგომარეობით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ რამდენ ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული, რამდენ ტენდერში ვერ გახდა გამარჯვებული, როდის და რა საფუძვლებით?
3. 2017 წლის 27 მარტის მდგომარეობით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ რამდენ ტენდერში გახდა გამარჯვებული. ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვის საგნის თაობაზე.
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების #020 და #817 გაფორმებისას, მოთხოვნილ იქნა თუ არა საბანკო გარანტია, მოთხოვნის შემთხვევაში რა ოდენობით და გამოყენებულ იქნა თუ არა საბანკო გარანტია? ასეთი მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, რა საფუძვლებით იხელმძღვანელა სააგენტომ?
5. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია, 2014-2016 წლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რამდენი ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. სასურველია, მითითებულ იქნეს ხელშეკრულებების გაფორმების კონკრეტული თარიღები და ნომერი;
6. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში, 2015 წლის 24 ივლისის განხორციელებულ ცვლილებამდე, რასაც დაემატა 103 პუნქტი, რა რეგულაცია არსებობდა სააგენტოსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის, როდესაც შემსყიდველი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მიიღებდა გადაწყვეტილებას გამარტივებული ტენდერის ჩატარებაზე?
7. მოგვაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია, 2013 წლიდან დღემდე, კომპანიებს, რომელებსაც გააჩნიათ შექმნიდან საქმიანობის 6-თვიანი გამოცდილება, აქვთ თუ არა გამარჯვება მოპოვებული ისეთ ტენდერებში, რომლის ფასიც აღემატება 1 500 000 ლარს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 7 აპრილის #1632 წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა, რომ „პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (www.tenders.procurement.gov.ge) ფუნქციონირებს 2010 წლის 1 დეკემბრიდან, სადაც შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული, მათ შორის გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია, საჯაროა და ხელმისაწვდომია სისტემაში რეგისტრირებული ყველა მომხმარებლისთვის, ასევე სისტემაში სტუმრის სტატუსით facebook მოდულით ავტორიზაციის გავლის შემდგომ. ამასთან, აღნიშნული სისტემა იძლევა მიმწოდებლის მიხედვით ინფორმაციის მოძიების საშუალებასაც. სისტემის მოხმარებასთან მიმართებაში ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) განთავსებულ „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოში. ასევე, დამატებით გაცნობებთ, რომ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ განისაზღვრებოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებთან დაკავშირებული საკითხები, შეგიძლიათ მოიძიოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის

ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი პერიოდის კონსოლიდირებული ვერსიების ნახვის საშუალებით“¹⁶.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:¹⁷

1. რა სამართლებრივ საფუძვლებს დაეყრდნო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებას დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ, ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში უპირობოდ რეგისტრაციის დროს?
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი 2009 წლის დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციამდე და პროექტის მიმართ დადებითი დასკვნის მომზადებამდე, იყო თუ არა ვალდებული, შეემოწმებინა, თუ რამდენად პასუხობდა ქალაქ თბილისის საკრებულოს დასახელებული დოკუმენტი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონთან ზუსტ შესაბამისობას და დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები და დოკუმენტის სახელწოდება გამომდინარეობდა თუ არა დოკუმენტში მითითებული „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონების ზუსტ ქვემდებარეობასთან.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განმარტება, თუკი რომელიმე კანონქვედმებარე ნორმატიული აქტი დასახელება არ გამომდინარეობს რომელიმე ზემდგომი კანონის სამართლებრივი დათქმიდან, არ არის ჩამოთვლილი კანონის განმარტებით ნაწილში, უნდა მოხდეს თუ არა ასეთი ნორმატიული აქტის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია?
4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2009 წლის დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2017 წლის 12 აპრილის #2172 წერილის თანახმად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილების რეგისტრაციისა და მასზე სამართლებრივი დასკვნის გაცემის თაობაზე, ამ სამართლებრივი აქტის დასკვნის ასლის გაცემა. წარმოდგენილ წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია, საქართველო იუსტიციის სამინისტროს ქმედებები (სამართლებრივი დასკვნის გაცემა, ნორმატიული აქტის რეგისტრაცია) სამართლებრივად შეფასდეს შესაბამის პერიოდში (2009 წლის ივნისი) მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით. ამასთან, უშუალოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გამოცემის დასაბუთებამდე სასურველია, შევხებით, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ექსპერტიზისა და რეგისტრაციის საკითხებს.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N6-17 გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (1996 წლის 29

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა ნანობაშვილის 2017 წლის 7 აპრილის #1632 წერილი;

¹⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #88 მიმართვა საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ. ადმინისტრაციულ ორგანოში წერილის რეგისტრაციის #01/5274

ოქტომბრის რედაქცია, ამჟამად ძალადაკარგულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით) 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და აღნიშნულ ორგანოთა ნორმატიული აქტებით. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებული იყო, იუსტიციის სამინისტროსთვის სარეგისტრაციოდ გადაეცა ნორმატიული აქტი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამავე მუხლის მე-2 მე-6 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნული ნორმატიული აქტი შეიტანა ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 2009 წლის 23 ივნისს, რეგისტრაციის 7-დღიანი ვადის დაცვით და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტებიდან, ასევე, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის N154 დადგენილებიდან გამომდინარე, სამართლებრივი დასკვნა, შესაბამის ნორმატიულ აქტთან ერთად, 2017 წლის 24 ივნისს (რეგისტრაციის მომდევნო დღეს) სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, გადაუგზავნა საქართველოს მთავრობის კანცელარიას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის საკრებულოს შესაბამისი ნორმატიული აქტი მისი რეგისტრაციის შემდეგ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, 2009 წლის 25 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (N 127-128).

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტრო, სხვადასხვა საუწყებო ნორმატიული აქტების პროექტებისგან განსხვავებით, ვალდებული იყო, სახელმწიფო რეესტრში შეეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტი, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მისი შეუსაბამობის (უარყოფითი დასკვნის) შემთხვევაშიც კი. მოცემულ შემთხვევაში, „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N6-17 გადაწყვეტილების მიმართ იუსტიციის სამინისტრომ აქტის რეგისტრაციის შემდეგ გასცა დადებითი სამართლებრივი დასკვნა ნორმატიული აქტების მიღებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში (2009 წლის ივნისი) მოქმედი კანონმდებლობის - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (2005 წლის 16 დეკემბრის რედაქცია (ძალადაკარგულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.) „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონისა (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია (ძალადაკარგულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“) და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა საფუძველზე, აგრეთვე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად“.¹⁸

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს¹⁹, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს²⁰, პარლამენტის დარგობრივი

¹⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2017 წლის 12 აპრილის #2172 წერილი;

¹⁹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #89 მიმართვა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდმარე სოფიო კილაძის მიმართ. წერილის რეგისტრაციის #5946;

²⁰ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #90 მიმართვა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდმარე კახაბერ კუჭავას მიმართ. წერილის რეგისტრაციის #5998;

ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს²¹ და პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს²² და მოითხოვეს იდენტური შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. მონაწილეობს თუ არა თქვენი კომიტეტი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში?
2. თქვენი კომიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმითაა წარმოდგენილი კომიტეტი დოკუმენტის შეფასებაში და გაქვთ თუ არა კონკრეტული წინადადებები ან რეკომენდაციები?
3. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი კომიტეტი არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში, ხედავთ თუ არა ასეთი ჩართულობის საჭიროებას და აუცილებლობას?

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2017 წლის 30 მარტის #4272/4-9 წერილის თანახმად, „საქართველოს პარლამენტი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის და მიღების პროცესში. მიუხედავად ამისა, კომიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, თვალყურს ადევნებს თბილისის მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.“²³

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2017 წლის 11 აპრილის #4638/4-5 წერილის თანახმად, „საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში და განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, გაიმართება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დასრულებული დოკუმენტის საჯარო განხილვა და კომიტეტი აქტიურად ჩაერთვება ამ განხილვაში“²⁴.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის პოლიტიკის 2017 წლის 12 აპრილის #4720/4-6 წერილის თანახმად, „ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, წინა მოწვევის საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების საწყისი ეტაპების სამუშაოების განხილვაში, რომელიც პრეზენტაციის ფორმატით წარმოადგინა ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორმა, მამუკა სალუქვაძემ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ დროისთვის, საზოგადოებრივი ჩართულობის თვალსაზრისით, ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების კონცეფციის მასალები გამოფენილია ქ.

²¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #91 მიმართვა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიას მიმართ. წერილის რეგისტრაციის #5949;

²² ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #92 მიმართვა საქართველოს პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ ლილუაშვილის მიმართ. წერილის რეგისტრაციის #5950;

²³ საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის #4272/4-9 წერილი;

²⁴ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ კუავას 2017 წლის 11 აპრილის #4638/4-5 წერილი;

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში. მოგეხსენებათ, რომ დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭო და დარგის სპეციალისტები. აგრეთვე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო პერიოდულად ატარებს სამუშაო შეხვედრებს დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების თემაზე. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2017 წლის 15 მაისი, რა ეტაპზეც ხდება ქ. თბილისის გენგეგმის ძირითადი, საბოლოო ვერსიის გადაწყვეტილებების შეჯერება და დაფიქსირება. ამდენად, ჩვენი აზრით, მართებული იქნება, რომ სწორედ ამ ეტაპზე მოხდეს კონკრეტული გადაწყვეტილებების განხილვა და წინადადებების დაფიქსირება, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქ. თბილისის მერიაში პროექტის ჩაბარების შემდგომი ეტაპი, რათა საჯარო განხილვების შედეგების გათვალისწინებით პროექტმა მიიღოს სრულყოფილი საბოლოო სახე²⁵.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გამომხატურებას, წერილის გაცნობის შემდგომ სატელეფონო კომუნიკაციით ორგანიზაციას დაუკავშირდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რატი იონათამაშვილი²⁶, რომელმაც აღნიშნა, რომ კომიტეტი უშუალოდ არ მონაწილეობს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში. მისივე პოზიციით, კომიტეტი დაინტერესებულია მგგ-ის გაცნობით და შეფასებები დოკუმენტის გაცნობის შემდგომ ჩამოყალიბდება. ორგანიზაციამ კომიტეტს გამოთქმული შეხედულებების წერილობითი ფორმით წარმოდგენა სთხოვა, თუმცა 2017 წლის 26 აპრილის მდგომარეობით, კომიტეტის ოფიციალური გამომხატურება არ მომზადებულა.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს მთავრობას²⁷ მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. საქართველოს მთავრობის მხრიდან, რა აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებს დაეყრდნო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული წესით ნებართვის გაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ?
2. მონაწილეობს თუ არა საქართველოს მთავრობა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში?
3. თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმითაა წარმოდგენილი მთავრობის ადმინისტრაცია დოკუმენტის შეფასებაში და გაქვთ თუ არა კონკრეტული წინადადებები ან რეკომენდაციები?
4. იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობის ადმინისტრაცია არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში, ხედავთ თუ არა ასეთი ჩართულობის საჭიროებას და აუცილებლობას?

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2017 წლის 6 აპრილის #10977 წერილის თანახმად²⁸, ორგანიზაციას მიეწოდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

²⁵ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიას 2017 წლის 12 აპრილის #4720/4-6 წერილი;

²⁶ <http://www.parliament.ge/ge/mp/5632>

²⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #93 მიმართვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, მაია ცქიტიშვილის მიმართ. წერილის რეგისტრაციის #9475;

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 ოქტომბრის #2212 განკარგულების ადმინისტრაციული წარმოების მასალები. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 ოქტომბრის განკარგულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“, განმარტებითი ბარათი მთავრობის განკარგულების პროექტზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 7 ოქტომბრის წერილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმართ გამარტივებული შესყიდვის უფლების თაობაზე. რაც შეეხება ორგანიზაციის წერილით დასმულ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2017 წლის 6 აპრილის #10977 წერილით²⁸, შემდგომი გამოხმაურების მიზნით, გადაგზავნილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

2017 წლის 20 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის #12302 წერილით³⁰, ორგანიზაციას მიეწოდა საკითხზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია. კერძოდ, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნის პროცესში სამინისტროს 2016 წლის 29 დეკემბერის #11/8094 წერილი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ირკვევა, რომ სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შენიშვნები და რეკომენდაციები მიეწოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს. სამინისტროს პოზიცია ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი მესამე ეტაპის საქმიანობის მიმართ შემდეგია³¹:

- განაშენიანების გეგმების პროგრამა-რუკა - უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიების გამოყოფას, რომლებზედაც აუცილებელია განვითარებები დაიგეგმოს მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმებით, და ამ ეტაპზე ჩამოყალიბებული უნდა იყოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს აღნიშნულ პირობებს სრულად, დამუშავებულია ისევ ჩარჩო-გეგმის დონეზე. არასაკმარისად არის წარმოდგენილი თითოეული გამოყოფილი სექტორის წინასაპროექტო კვლევა და კვლევაზე დაფუძნებული ანალიზი, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო წარმოდგენილი მასალის დამუშავება;
- სივრცითი შეზღუდვების რუკა - მსჯელობის ნაწილში მნიშვნელოვანია აისახოს სივრცითი შეზღუდვების რუკით დაგეგმვის პროცესში გამოყენებადობის შეფასება. დასამუშავებელია სივრცითი შეზღუდვების რუკის გამოყენების წესები, ასევე ხედვითი დერეფნის დამატების დროს ხედვის წერტილის შერჩევის, განსაზღვრის და დამატების წესი;
- საერთო სარგებლობის არსებული გამწვანებული ტერიტორიების და ბაღპარკების რუკა - მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიების აღწერა/კვლევის ჩატარება, ასევე დასამუშავებელია გამწვანებული ტერიტორიების სტატუსების მინიჭებისთვის შესაბამისი წესებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

²⁸ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, სოფიო სიჭინავას 2017 წლის 6 აპრილის #10977 წერილი;

²⁹ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, სოფიო სიჭინავას 2017 წლის 6 აპრილის #10977 წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ;

³⁰ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, სოფიო სიჭინავას 2017 წლის 20 აპრილის #12302 წერილი;

³¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის, ნინო გვენცაძის 2016 წლის 29 დეკემბერის წერილი # 11/8094 სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ;

- სამშენებლო და განვითარების აკრძალვის ან და შეჩერების რუკა - მსჯელობის ნაწილში არ ჩანს რა პრინციპით შეირჩა აღნიშნული ტერიტორიები და რატომ გამოირიცხა დანარჩენი ნაწილი. ასევე მონიშნული ტერიტორიების ნაწილი, მაგალითად #1. დიდი დიდი მის საცხოვრებელი მასივის დასავლეთი მხარე, ისედაც შეზღუდულია სამშენებლოდ ფუნქციური ზონიდან გამომდინარე. ხოლო #4 ტერიტორიაზე შეთამბმებულია გრგ, რომლის ფარგლებშიც გაცემულია ნაწილი მშენებლობის ნებართვები და მიმდინარეობს მშენებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე გადასახედია შერჩეული ტერიტორიები და შერჩევის მეთოდოლოგია. მისათითებელია განვითარების აკრძალვის ან და შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები/მექანიზმები;
- საზოგადოებრივი სივრცეების, მათი საზღვრებისა და რეგლამენტირების რუკა - წარმოდგენილი სახით რუკა შესაძლოა განვიხილოთ მხოლოდ პირობითი სივრცეების განსაზღვრის რუკად;
- დაცვისა და რეგულირების ზონის ფარგლებს გარეთ არსებული ისტორიულ-კულტურული ღირებულებების ობიექტის დაცვის არელების (ზონირების) რუკა - აღნიშნული რუკა არასრულია, საჭიროებს გადამოწმებას და დაზუსტებას, გამორჩენილია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორცაა უნივერსიტეტი, ბოტანიკური ბაღი და სავარაუდოდ, სხვა ძეგლებიც.
- ლადშაფტის დაცვის ზონის რუკა- დასამუშავებელია აღნიშნული რუკით სარგებლობის წესებში ასახვის მექანიზმი;
- ქალაქის რაიონებისა და გეგმარებითი ერთეულების მიხედვით ტერიტორიების განვითარების არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის შეფასების რუკა. („პარამეტრული განვითარების რუკას) განვითარების რეგლამენტების (ინტენსივობის კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებლის) რეკომენდაციებით, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მომდებარე ინფრასტრუქტურას - წარმოდგენილი მასალა ფრაგმენტულია, რაც არ იძლევა სრულად განხილვის და შეფასების საშუალებას;
- ურბანული განვითარების და მობილურობის რუკები, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან სატრანსპორტო მოდელებს, ფეხმავალთა გზებს და საველოსიპედო ინფრასტრუქტურას, მთავარ სატრანსპორტო ღერძს ისევე, როგორც წყლის ტრანსპორტის გამოყენებას - წარმოდგენილია კონცეფცია ზოგადი ხედვის ნაწილში, რუკები მასშტაბიდან გამომდინარე არ იძლევა ანალიზის საშუალებას რეალურად განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ასევე არ არის წარმოდგენილი საყრდენი კვლევითი ნაწილის ანალიზი და ზოგადი ეკონომიკური გაანგარიშება წარმოდგენილი კონცეფციის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- მიწის სამართლიანი ფასის ატლასი - რუკები დასამუშავებელია დადგენილი ფასის შესაბამისი საზღვრის კონტურების დანატით.

სასურველია კვლევით და დასაბუთებით ნაწილში იყოს მეტი ინფორმაცია შესაბამისი წყაროების დაზუსტებით, რუკები დამუშავდეს მეტი სიზუსტით და მაღალი გარჩევადობით, შესაბამისი საყრდენი მასალისა და მასშტაბის გამოყენებით.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ვთვლით, რომ დარგობრივად კონკრეტული ხარვეზების დასადგენად აუცილებელია დოკუმენტაციას ჩაუტარდეს ექსპერტიზა შესაბამისი დარგების ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელშიც სასურველია შედიოდეს საერთაშორისო გამოცდილების მქონდე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები“.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს³² და მოითხოვეს შემდეგი სახის განმარტება და ინფორმაცია:

1. მონაწილეობს თუ არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში?
2. თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმითაა წარმოდგენილი სამინისტრო დოკუმენტის შეფასებაში და გაქვთ თუ არა კონკრეტული წინადადებები ან რეკომენდაციები?
3. იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტრო არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში, ხედავთ თუ არა ასეთი ჩართულობის საჭიროებას და აუცილებლობას?

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017 წლის 4 აპრილის #13/13-1604 წერილით, ორგანიზაციას ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციაზე მიმდინარეობდა დამუშავების პროცესი და ორგანიზაციას მოთხოვნილი ინფორმაცია დამუშავებისთანავე მიეწოდებოდა³³.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017 წლის 18 აპრილის #13/13-1812 წერილის თანახმად, ორგანიზაციის ეცნობა შემდეგი: „საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ თქვენი 2017 წლის 27 მარტის #094 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში სამინისტროს მონაწილეობას, გაცნობებთ, რომ 2015 წელს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამარჯვებული კონკურსანტების გამოსავლენად სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ შექმნილ საკონკურსო კომისიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. 2015 წელს, კონკურსში გამარჯვებული კომპანიის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მომართვის საფუძველზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სრულყოფის მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ჩამონათვალისა და კულტურული დანიშნულების სხვადასხვა ობიექტების (სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ების) ადგილმდებარეობისა და დატვირთვის შესახებ. ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში კომპანიისთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით, სამინისტროდან გამოიყო საკონტაქტო პირები. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების შესახებ ეტაპის საპროექტო დოკუმენტაცია, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ჩართულობით და არსებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ პოზიცია, გადაეგზავნა სსიპ „ქალაქ თბილისის

³² ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #94 მიმართვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძის მიმართ. წერილის რეგისტრაციის #4939;

³³ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ნინო გადილიას 2017 წლის 4 აპრილის #13/13-1604 წერილი;

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს³⁴. ორგანიზაცია, დამატებით აღნიშნავს, რომ სამინისტროს მხრიდან წერილთან ერთად, მოწოდებულ იქნა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის სამუშაო პროცესთან დაკავშირებით არსებული წერილობითი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციაც.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს³⁵ და მოითხოვეს შემდეგი სახის განმარტება და ინფორმაცია:

1. მონაწილეობს თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და ფინანსური ექსპერტიზის პროცესში?
2. თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმითაა წარმოდგენილი სამინისტრო დოკუმენტის ფინანსური ხარისხის შეფასებაში და გაქვთ თუ არა კონკრეტული წინადადებები ან რეკომენდაციები?
3. იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტრო არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და ფინანსური ექსპერტიზის პროცესში, ხედავთ თუ არა ასეთი ჩართულობის საჭიროებას და აუცილებლობას?
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, არის თუ არა განსაზღვრული ედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტით ან/და მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით ბიუჯეტში მოსალოდნელი ცვლილების საკითხზე მსჯელობა?

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 5 აპრილის #04-03/48610 წერილის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, გააჩნია საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები და საკუთარი პასუხისმგებლობებით იღებს გადაწყვეტილებას თითოეული პრიორიტეტისა და ღონისძიების დაფინანსების შესახებ“³⁶.

2017 წლის 27 მარტს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს³⁷ და მოითხოვეს შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. მონაწილეობს თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში?
2. თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმითაა წარმოდგენილი საქართველოს სახალხო აპარატი დოკუმენტის შეფასებაში და გაქვთ თუ არა კონკრეტული წინადადებები ან რეკომენდაციები?

³⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ნინო გადილიას 2017 წლის 18 აპრილის #13/13-1812 წერილი.

³⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #98 მიმართვა საქართველოს ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის მიმართ.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის გიორგი კაკაურიძის 2017 წლის 5 აპრილის #04-03/48610 წერილი;

³⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 27 მარტის #95 მიმართვა საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის მიმართ. წერილის რეგისტრაციის #4300/17

3. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი არ მონაწილეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაში, განხილვაში და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში, ხედავთ თუ არა ასეთი ჩართულობის საჭიროებას და აუცილებლობას?

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2017 წლის 12 აპრილის #04-11/4838 წერილის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიმართულებით ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს მიერ შემუშავებულია საპროექტო წინადადებები, რომელთა განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის აპრილის თვეში უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის საკრებულომ, დასმული საკითხების საპასუხოდ განგიმარტავთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნის, განხილვისა და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცესში, ჩართული არ არის. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გამოხატავს დაინტერესებასა და მზადყოფნას მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ჩაერთოს აღნიშნული დოკუმენტის განხილვის პროცესში“³⁸.

³⁸ საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძის 2017 წლის 12 აპრილის #04-11/4838 წერილი.

4. დასკვნა

ორგანიზაციამ შეისწავლა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის იურიდიული მნიშვნელობა და თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიმდინარე პროცესის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები და ყურადღებას დაუთმობს იმ არსებითი მნიშვნელობის საკითხების შეფასებას, რომელთა წარმოჩენაც და მათზე ფართო დისკუსია მიგვაჩნია თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემდგომი სანდოობისა და ეფექტურ დოკუმენტად ქცევის აუცილებელ პირობად. ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა დაეთმოს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების წარმოდგენილი საპროექტო მომსახურების საერთაშორისო კონკურსის ჩატარებას, კონკურსში გამარჯვებული კომპანიის გამოცდილებას, წარმოდგენილი საპროექტო მომსახურების კვარტალური ანგარიშების მიზნებსა და ამოცანებს, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და მისი შემდგომი განხორციელების ფინანსურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ორგანიზაცია საპროექტო მომსახურების – ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიზნით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ 2015–2016 წლებში წარმოდგენილი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურების სამი კვარტალური ანგარიშის შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ ეტაპზე, დოკუმენტი ჩატარებული საქმიანობიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს საზოგადოების ჩართულობის პროცესის შედეგს და მას აშკარად აკლია საჯარო დისკუსიის კომპონენტი. მსგავსი მიდგომა კანონის მოთხოვნაა და აშკარაა მისი უგულებელყოფა. საჯაროობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შემუშავებული დოკუმენტის ხელმისაწვდომობის ფაქტი. საპროექტო წინადადების თაობაზე სრული ინფორმაცია არ არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სწორედ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განიხილოს, მიიღოს და დაამტკიცოს დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმა. ამასთან, საპროექტო წინადადების მუშაობის პროცესზე სრულყოფილი ინფორმაცია არ გვხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პროცესზე საზოგადოების ინფორმირებას გააჩნია მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი, ახალი ამბების სააგენტოებსა და ბექედურ მედიაში მხოლოდ ვრცელდება განცხადებები და ინტერვიუები პროცესის მომხრე თუ განსხვავებული აზრის მქონე მხარეების ინტერესების გათვალისწინებით, რაც ვერ იძლევა ნატურალურ, მკაფიო, დოკუმენტურ წარმოდგენას საპროექტო წინადადების მომზადების და შესრულებული სამუშაოს სათანადო ანალიზისთვის. პროცესის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, რასაც მოწმობს დოკუმენტის ავტორთა ჯანსაღი პრეტენზიაც - წარმოდგენილი წინადადებები იქცეს საზოგადოებრივი თანხმობის დოკუმენტად, თუმცა ორგანიზაცია შენიშნავს, რომ დოკუმენტის საჯაროობის მიმართ ღირსი ინტერესი არც კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდანაც გამოვლენილია. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდს (cityinstitute.ge) ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნია. ფუნქციურია მხოლოდ ორგანიზაციის *ფეისბუქის* ოფიციალური გვერდი. ასეთ პირობებში, კიდევ უფრო მეტად მართებულად დაისმის საკითხი, თუ რამდენად *საზოგადოებრივი თანხმობის დოკუმენტი*ა დედაქალაქის გენერალური გეგმის განახლებული პროექტი. ამასთან, საჯაროდ არ არსებობს და ავტორ ორგანიზაციას არც დღემდე მოუწოდებია საზოგადოების სხვადასხვა ფენის თუ დაინტერესებული სუბიექტების ჩართულობის საკითხზე ან მათი მონაწილეობის ხარისხზე, არც ერთი შეხვედრის ან განხილვის ოქმი. ის ფაქტი, რომ ავტორი ორგანიზაციის მხრიდან შექმნილ იქნა საზოგადოებრივი დარბაზი ან/და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოხდა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების (1-4 ეტაპის) გამოფენა, საკმარისი არგუმენტი არ არის. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საპროექტო წინადადებების შესრულების გამოფენა არ ნიშნავს განახლებული დოკუმენტის საზოგადოებრივი გაცნობის უზრუნველყოფას. მიგვაჩნია, რომ თითოეულ დაინტერესებულ მოქალაქეს დასრულებული სამუშაოები შედეგი კი არ უნდა

შეფასებინა, არამედ დოკუმენტის შექმნის პროცესში, თანამონაწილეობის უფლება უნდა გამხდარიყო უზრუნველყოფილი და პროცესს თან ჰქონოდა განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენის პრეტენზიაც. ამ მიმართულებით, თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებსაც. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მხრიდან საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის საკითხებზე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის თანახმადაც, *საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.* საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ვალდებულებისთვის, კოდექსის III თავით განსაზღვრული წესებისთვის, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებას, თუმცა მონიტორინგის პროცესში დაუდგენელი აღმოჩნდა, არსებობს თუ არა ქ. თბილისის მერის ან/და ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ნორმატიული აქტი, რომლითაც თვითმმართველობის ორგანოებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას დააკისრებდა. მათ, ნებისმიერ შემთხვევაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებისთვის მომზადებული საპროექტო წინადადებების დეტალური გასაჯაროება და საზოგადოების ინფორმირება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებული საჯარო ინტერესის პრინციპის დაცვით აკისრიათ, ვინაიდან და რადგანაც, ისეთი კატეგორიის პროექტების შემუშავებისას, რომელთა განხორციელებაც უშუალოდ აისახება ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, პირველადი კონცეფციის შექმნის პროცესიდანვე უნდა განხორციელდეს კვლევებისა თუ სხვადასხვა სოციალური გამოკითხვების საფუძველზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლით, მისი ანალიზით და დოკუმენტში შემდგომი გათვალისწინებით.

ამასთან, ორგანიზაცია დოკუმენტის საჯაროობის კომპენენტის მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილავს არა ავტორი ორგანიზაციის მხრიდან დოკუმენტის შექმნაზე მუშაობის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების თუ დამხმარე სპეციალისტების მონაწილეობით გამართულ თემატურ შეხვედრებს ან/და გამოფენების მოწყობას, არამედ პროცესში და თემატურ დისკუსიაში საჯარო უწყებების მონაწილეობის საკითხს. ამ თვალსაზრისით, მონიტორინგმა შეისწავლა დედაქალაქის გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის პროცესში ინსტიტუციური მონაწილეობის საკითხი. სამწუხაროდ, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის პროცესში არ გამოიკვეთა საქართველოს მთავრობის (შესაბამისი სამინისტროების, გარდა ეკონომიკისა და კულტურის სამინისტროების), არც საქართველოს პარლამენტის (შესაბამისი კომიტეტების) და არც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობა და თანამშრომლობის ფორმატი. შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, დოკუმენტის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს 2015 წლის 21 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის პირობებს, გამარჯვებული კომპანიის გამოცდილების თავსებადობას საკონკურსო მოთხოვნებთან და სახელმწიფო გამარტივებული შესყიდვის მიზანშეწონილების საკითხს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერის თანახმად, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ დაფუძნებულ იქნა 2015 წლის 30 ივნისს, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადებული კონკურსიდან 41-ე დღეს. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 1 აგვისტოს, ხოლო კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა - 2015 წლის 13 სექტემბერს. ასეთი ფაქტობრივი გარემოება ლეგიტიმურად აჩენს ვარაუდს, სახელმწიფო შესყიდვასთან გამარჯვებული კომპანიის ან

მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების წინასწარ არსებული კავშირებისა და საერთო ინტერესების თაობაზე. ორგანიზაცია მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის მჭიდრო თანამშრომლობას. 2015 წლის 7 ივლისს³⁹ და 10 ოქტომბერს⁴⁰, თბილისის მერი ევროპის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტის „ფრაუნჰოფერის“ და „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც გაცნობილ იქნა პროექტი „მომავლის ქალაქი“ და ამ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა რვა საპროექტო წინადადება საკითხებზე: ქალაქის ურბანული პროცესები და მართვა, ენერჯის განახლებადი წყაროები, CO₂-ის შემცირების, ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და უსაფრთხოების დაცვა, ენერგოეფექტური ქალაქის მოდელი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ყველა ის საკითხი და თემატური მიმართულება, რომელიც წარმოდგენილი იქნა „მომავლის ქალაქის“ პროექტის ფარგლებში, არსებითად, ორგანულად და შინაარსობრივად წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების მიზნებსა და ამოცანებს. როგორც 2015 წლის 7 ივლისის პრესკონფერენციაზე, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ ერთ-ერთმა დირექტორმა, მამუკა სალუქვაძემ განაცხადა: „მოგებსენებათ, დღეს ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განვითარებაზე მიდის საუბარი, კონკურსია გამოცხადებული და ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ამ პროექტის დაწყება თბილისში, რამეთუ სწორედ მოინახოს ის მნიშვნელოვანი და ძირითადი საფუძველი და კონცეფცია, რომლითაც განვითარდება ქალაქი. გასაგებია, რომ ის ჯგუფი, რომელიც ალბათ გაიმარჯვებს გენგეგმის განახლების კონკურსში, სწორედ აი, ამგვარ კონცეფციას უნდა დაეყრდნოს, რამეთუ არ შეიძლება ქალაქი ვითარდებოდეს სხვადასხვა კონცეფციებით. ქალაქი ერთი კონცეფციით უნდა ვითარდებოდეს და ძალიან კარგია, რომ ამ შემთხვევაში, ამის საშუალება ჩვენ გვუძლევა. აქედან გამომდინარე, ეს ორი პროექტი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს ერთმანეთთან და ვფიქრობ, რომ ამის მოხერხება ძალიან ადვილი იქნება იმ შემთხვევაში, როცა ქალაქ თბილისის მერიაც ძალიან დაინტერესებულია ამ პროექტით“⁴¹.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ზ/აღნიშნული წინამძღვრებითა და გარემოებების გათვალისწინებით, სავსებით ობიექტურად დაისმის კითხვა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების წარმოდგენისთვის გამოცხადებული კონკურსის გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის თაობაზე, კონკურსში მონაწილე სუბიექტების თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრითობის შესახებ, როდესაც ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მდგომარეობა თბილისის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტებისა და მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ბუნებრივად აღმოჩნდა დომინანტური სტატუსით და საკონკურსო პროცესი მთლიანად აღმოჩნდა ცალმხრივი, რითაც მნიშვნელოვნად დაირღვა შეჯიბრითობისა და კონკურენციის პრინციპები. სწორედ ზ/აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ნაკლები ყურადღება დაეთმო ორგანიზაციის გამოცდილებას და ყურადღება დაეთმო გამარჯვებული ორგანიზაციის კონტრაქტორ და პარტნიორ უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც ინსტიტუციური თანამშრომლობა უკვე აკავშირებდათ ქალაქ თბილისის მერიასთან პროექტ „მომავლის ქალაქის“ განხორციელების ფარგლებში და სახით. მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაცია მიდის დასკვნამდე, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი გერმანულ-ქართული საერთო ინტერესების პროექტია, რომლის განხორციელებასაც ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“. ამასთან, მონიტორინგის პროცესში ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო იმ გარემოებას, რომ პროექტ: „მომავლის ქალაქის“ ნაწილობრივ დამფინანსებელ ორგანიზაციის KfW-სა და თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაში გამარჯვებულ კომპანიის პარტნიორ, ასევე გერმანულ ორგანიზაციას Dr. Brenner Ingenieurgesellschaft MbH-ს შორის ჩამოყალიბებულია სათანამშრომლო გარემო და მათ ერთობლივი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს

³⁹ <http://www.tbilisi.gov.ge/news/1126>

⁴⁰ <http://www.tbilisi.gov.ge/news/1582>

⁴¹ <https://www.youtube.com/watch?v=wbX7vPdyFfQ>

ეროვნული საავტომობილო გზების შეფასებისა და აღრიცხვის მომზადებული დოკუმენტი⁴². ამასთან, პროექტი „მომავალი ქალაქი“, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25%-იანი და გერმანული ორგანიზაცია KfW-ს 75%-იანი ფინანსური კონტრიბუციით უნდა განხორციელდებოდა, მონიტორინგისთვის დაუდგენელია, კვლავ ხორციელდება თუ არა, ვინაიდან „მომავლის ქალაქის“ კონცეფციის ყველა მიმართულება უკვე წარმოდგენილი და გაერთიანებულია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტი წინადადების იმ დოკუმენტში, რომელიც გამარჯვებულმა ორგანიზაციამ „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ 2015-2017 წლებში შექმნა და წარმოადგინა, მის დამასრულებელ ნაწილზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს ქართული სასამართლოს განმარტებებს სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებით სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით. სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჯარო მმართველობით ფუნქციას წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი შედეგები აისახება, როგორც მმართველობის კანონიერებაზე, ისე სახელმწიფო სახსრების რაციონალურ განაწილებასა და ხარჯებზე, სახელმწიფოს, როგორც კეთილსინდისიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის პარტნიორის იმიჯის ჩამოყალიბებაზე. ასევე, თავად სამეწარმეო სუბიექტებისათვის ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების, კანონიერი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფაზე

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმე: №ბს-667-642 (კ-13) განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების, როგორც მმართველობითი ფუნქციის კანონიერი განხორციელება გარკვეული ასპექტით პასუხობს საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს, როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში, როგორც ნორმატიულ (საკანონმდებლო), ნორმატიულ-ადმინისტრაციულ (კანონქვემდებარე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, პროცედურები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები), სამართლიან და თანასწორობაზე დაფუძნებულ მაღალი სტანდარტების დადგენას. ასევე, დადგენილი ნორმების პრაქტიკულ ვითარებაში სამართლიან და კანონშესაბამისი აღსრულების დამკვიდრებას. სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულების ჯეროვანი შესრულება განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში, რამდენადაც სახელმწიფო მისი ადმინისტრაციული ორგანოების სახით სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე, სამართლებრივი პროცესის შემოქმედი. შესაბამისად, მის კანონიერებაზე და პირის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სუბიექტია. სახელმწიფო შესყიდვების კანონიერება თავისი სამართლებრივი შედეგებით გავლენას ახდენს, როგორც მმართველობის საჯაროობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების ხარისხზე, მის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ჩამოყალიბების ტემპებზე, საზოგადოების განწყობის ფორმირებაზე, ასევე პრაქტიკაში დამკვიდრებული კლანური ეკონომიკის, გავლენიანი ჯგუფების ბიზნეს ინტერესების, კორუფციული გარიგებების სქემების გატარების ნაცვლად ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე, კონკურენტული გარემოსა და კანონიერი სამეწარმეო ურთიერთობების ტენდენციის შექმნაზე⁴³. სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების როლი და გავლენა განმსაზღვრელია საჯარო მმართველობის სამართლებრივი იმიჯისათვის, რამდენადაც სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო ამოცანების შესასრულებლად მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესაძენად, რამდენადაც მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანი შესრულება სხვადასხვა მატერიალური სახის

⁴²<http://www.demokratie-leben.org/wp-content/uploads/2015/12/Praxisnahe-Anwendungsbeispiele-zur-Bilanzierung-der-Landesstra%C3%9Fen.pdf>

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე: №ბს-667-642 (კ-13)

საჭიროებებზე და მოკიდებული, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა კი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს, რის უზრუნველსაყოფად კანონით მკაცრად რეგლამენტირებული წესები, პრინციპები და სტანდარტებია დადგენილი, რომლის შესრულებას მინიმუმამდე დაჰყავს პროცედურის და მისი შედეგების გაუმჭირვალობა, ინტერესთა კონფლიქტის, კორუფციული სქემების დაშვების შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ 2015 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის #2212 განკარგულების თანახმად, ხელი მოეწერა თანხმობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ და 2 800 000 ლარის მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა საპროექტო წინადადების განმახორციელებელ ორგანიზაცია ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“. ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს შემდეგ სამართლებრივ გარემოებას. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დგინდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თუმცა ყურადღებას იმსახურებს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების შესყიდვის პერიოდი და ამ პერიოდში კანონში შესული იმ ცვლილებების ანალიზი, რომელიც ტოვებს გარკვეულ ეჭვებს იმისთვის, რომ კანონმდებლობაში გამარტივებული შესყიდვის პროცესში შესული ცვლილებების დროსა და სივრცეში ამოქმედება გადავადდა.

როგორც ცნობილია, 2015 წლის 21 მაისს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების შესყიდვისთვის გამოცხადებული კონკურსში განაცხადების მიღება დასრულდა 2015 წლის 1 აგვისტოს, ხოლო გამარჯვებული გამოცხადდა 2015 წლის 13 სექტემბერს. ამ პერიოდში, კერძოდ, 2015 წლის 24 ივლისს, „შესყიდვების შესახებ კანონში“ განხორციელდა ცვლილება და კანონს დაემატა მე-10¹ მუხლის შემდეგი შინაარსის 3³ პუნქტი: „შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველით გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უნდა შეუთანხმოს სააგენტოს“. განხორციელებული ცვლილებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს დაევალა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც დაარეგულირებდა სახელმწიფო შესყიდვის წესებსა და პირობებს. კანონის მოთხოვნის თანახმად, 2015 წლის 17 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ მიიღო #13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, თუმცა ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ მოცემულობას, რომ კანონში განხორციელებული ზ/აღნიშნული ცვლილებიც და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი - ბრძანებაც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ნოემბრიდან. რაც შეეხება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებას, უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს მთავრობას მიიღო #2212 განკარგულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ გამარტივებული შესყიდვის თანხმობის თაობაზე და ამავე დღეს, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებაც 2 800 000 ლარის მომსახურებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი კანონი არ გაითვალისწინებდა ცვლილებების 2015 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შესვლის საკითხს, საქართველოს მთავრობა, კანონის საფუძველზე, არ იქნებოდა უფლებამოსილი ერთპიროვნულად მიეღო გამარტივებული შესყიდვის თანხმობაზე განკარგულება და საჭიროებდა გაცილებით გართულებული, საჯარო და პროცედურულად გამართული წესით ასეთი თანხმობის დადასტურება. ამასთან, ახალი ცვლილებებით უკვე დაზუსტდა, რომ პირდაპირი შესყიდვის გამოყენება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საჯარო

ინტერესებთან და მომსახურების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს რეალურ დროში, მკაფიო ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ პროცესში, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემსრულებელი ორგანიზაციის გამარტივებულ შესყიდვებში მონაწილეობის ერთი აუცილებელი პირობა, რომელიც დაკავშირებულია საბანკო გარანტიების წარმოდგენასთან. მოცემულ შემთხვევაში, დაუდგენელია, გამარჯვებულმა კომპანიამ წარადგინა თუ არა საბანკო გარანტია, როდესაც მომსახურების ხელშეკრულება ადმატებოდა 200 000 ათასს ლარს. გამოცხადებულ ტენდერში, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტ საქართველოს“, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საბანკო გარანტიის სახით, უნდა წარედგინა, მაქსიმუმ 140 000 ათასი ლარი და მინიმუმ 56 000 ათასი ლარი.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ გარემოებას, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადებით წარმოდგენილ შუალედურ ანგარიშებში მსჯელობა არ არის დათმობილი საერთაშორისო კონვენციებისა და ქარტიების იმპლემენტაციაზე და შედარებით ანალიზზე. ცვლილებებს, რომელიც დოკუმენტი გვთავაზობს, არ ეფუძნება ისტორიული ქალაქის თუ სხვა ურბანული სივრცეების დაცვისთვის ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებას, მათ შორის მკაფიო არ არის, რა ფორმით უნდა მოხდეს ისტორიული დედაქალაქის - თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა და ამ სივრცეში, რამდენად გაზიარებულია დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები. ორგანიზაცი, ამ თვალსაზრისით სრულად იზიარებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შეფასებას⁴⁴ და აღნიშნავს, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტაციაში სათანადოდ არ არის ასახული კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები. კერძოდ, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ფასეულობებისა და სხვა დამცავი ზონებისა და მათი რეჟიმების გათვალისწინება“. იქედან გამომდინარე, რომ უკვე არსებობს ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომელიც წარმოადგენს მრავალდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შემუშავებულ სპეციალურ კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევით დოკუმენტს, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას და შეიცავს რეკომენდაციებს მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქთმშენებლობითი და გეგმარებითი რეგლამენტაციის შესახებ, მეორე მხრივ საქართველომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარადგინა თბილისის ისტორიული ნაწილი, სადაც დადგენილია თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი (ბუფერული) ზონები, რაც მოითხოვს შესაბამისი რეგულაციების დაწესებას, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი სრულად და სიზუსტით ვერ ასახავს აღნიშნული ზონების დაცვის და შენარჩუნების საკითხებს. მეტიც, წინააღმდეგობაში და კონფლიქტში მოდის თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმით დადგენილ რეგულაციებთან. კერძოდ, მგგ-ის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების საზღვრების კორექტირების საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებულია რამდენიმე არეალის ე.წ. „განაშენიანების რეგულირების ზონის რეკომენდირებული გაფართოების საზღვრებში“ მოქცევა, რომელიც უნდა შეეხოს მთაწმინდის კალთებს, მამა დავითის ეკლესიას და მის ზედა ნაწილს, მთაწმინდიას პარკის (უძრავი ძეგლის) ჩათვლით. იქედან გამომდინარე, რომ ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში ამჟამად მოქმედი რეჟიმი იცავს ამ ტერიტორიებს შეუსაბამო განაშენიანებისგან, არსებული რეჟიმი წარმოადგენს გარანტიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და უზრუნველყოფის ამ ადგილების ფასეულობის შენარჩუნებას, საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული ცვლილებები კი იწვევს არსებული განაშენიანების ამკრძალავი რეჟიმის

⁴⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის #05/09/828 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები.

გაუქმებას და განაშენიანების დაშვებას, ამ არეალში მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის 5 ძეგლი - მთაწმინდის პლატოზე არსებული პარკი, მთაწმინდის პანთეონი, მამადავითის ეკლესიის სამრეკო, ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობა და მამადავითის ეკლესია, ყოვლად დაუშვებელი საფრთხის წინაშე ექცევა, რაზედაც ამ დრომდე, არც დისკუსია ყოფილა და არც საჯარო განცხადება.

ორგანიზაცია დამატებით აღნიშნავს, რომ ICOMOS-ის გენერალური ასამბლეის მიერ 1987 წელს მიღებული *ვაშინგტონის საერთაშორისო ქარტია ისტორიული ქალაქების და სხვა ურბანული სივრცეების დაცვის შესახებ* ითვალისწინებს და სახელმძღვანელოდ ხდის ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ისტორიული ქალაქების დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციისთვის, ამასთან მათი განვითარებისა და თანამედროვე ცხოვრებასთან ადაპტაციისთვის არის საჭირო. ქარტიის თანახმად, ხელი უნდა შეეწყოს მოქალაქეების მონაწილეობას და მათი ქალაქის დაცვაში ჩართვას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. არასდროს შეიძლება იმის დავიწყება, რომ ისტორიული ქალაქების შენარჩუნების პრობლემა პირველ რიგში მის მაცხოვრებლებს ეხება. ისტორიული ქალაქების ან ურბანული არეალების შენარჩუნების გეგმარება მულტიდისციპლინარული ერთობლივი მუშაობის შედეგად უნდა იქმნებოდეს. კონსერვაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ყველა განმსაზღვრელ ფაქტორს, როგორცაა არქეოლოგია, ისტორია, არქიტექტურა, ტექნიკა, სოციოლოგია და ეკონომიკა. გეგმარების მთავარი მიზნები მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული, ისევე, როგორც მათი რეალიზებისთვის საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ფინანსური საფუძვლები. გეგმარების მიზანი უნდა იყოს ჰარმონიული წონასწორობის დაცვა ქალაქის ისტორიულ ნაწილებსა და მთელ ქალაქს შორის. გეგმარება უნდა ადგენდეს, თუ რომელი შენობები ან შენობების ჯგუფები არის დასაცავი ან რა გარკვეული პირობების დაცვით უნდა მოხდეს ეს და დიდი გამოწვევის სახით, რომელი შენობები შეიძლება იქნეს აღებული. ნებისმიერი სამუშაოების დაწყებამდე უნდა გაკეთდეს არსებული მდგომარეობის ზედმიწევნით ზუსტი დოკუმენტირება და გეგმარების პროცესს მხარს უნდა უჭერდეს ისტორიული არეალის მაცხოვრებლები. ყველანაირი საფრთხე, რომელიც ისტორიული ქალაქის ღირებულებებს ემუქრება, წარმოადგენს აგრეთვე საშიშროებას ისტორიული ქალაქის ან ურბანული სივრცის ავთენტურობისათვის. *1964 წლის ვენეციის საერთაშორისო ქარტია ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ* ცალსახად მიუთითებს, რომ ყოველთვის, როცა არსებობს ტრადიციული გარემო, იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს. არ უნდა იქნეს დაშვებული იმგვარი ახალშენებლობა, ნგრევა ან გადაკეთება, რომელიც შეცვლის მასისა და ფერის არსებულ ურთიერთმიმართებას. *1992 წლის ლა-ვალეტას არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია* ცალკე გამოყოფს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის სავალდებულო პრინციპებს, მოუწოდებს ქვეყნებს ამ მიმართულებით უზრუნველყონ ზიანის რისკები და კონსერვაცია განხორციელდეს ექსპერტებისა და გამცდილების გაზიარების საფუძველზე. კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის ინტეგრირებული კონსერვაციისთვის ყველა მხარის ვალდებულებად მიიჩნევს არქეოლოგების, ურბანისტებისა და მიწათმომწობების ერთობლივ მუშაობას, რათა რისკების შეფასებით, შესაძლებელი გახდეს იმ მიწათმომწობების გეგმების შეცვლა, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არქიტექტურულ მემკვიდრეობას. **მოცემულ შემთხვევაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების საპროექტო წინადადებები, მართალია წარმოადგენს ღირებულ სტატისტიკურ-ინფორმაციულ და ანალიტიკურ მსჯელობის დოკუმენტურ მასალას ქალაქის სამშენებლო, საკომუნიკაციო, სივრცითი მოწყობისა და ინტეგრირების საკითხებზე, მაგრამ მკაფიო წარმოდგენას ვერ იძლევა, თუ რა მეთოდოლოგიით უნდა განხორციელდეს დედაქალაქის ურბანული განვითარება და რამდენად წარმოადგენს ცვლილების ობიექტი საჯარო და კერძო ინტერესის პროპორციულობის შემადგენელ ნაწილს.**

ორგანიზაციის შეფასებით, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის დაცვა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. ცალკე აღებული რომელიმე

ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს საჯარო ინტერესებისთვის მიყენებულ სიკეთეს, გამოყენებულ უნდა იქნას პირის კანონიერი უფლებისთვის ყველაზე ნაკლები ზიანის მიმყენებელი საშუალება. არჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, შესაბამისად, მიზნის მიღწევის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, მის მიერ განხორციელებული მოქმედება კანონშეუსაბამოა და სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და სამართლებრივი პრინციპის დარღვევა. ამდენად, **თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი, ხოლო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.**

წარმოდგენილ დოკუმენტში მკაფიო არ არის და არც რომელიმე კვლევის საფუძველზე დასაბუთებული მოსალოდნელი ქალაქგეგმარებითი წინადადებების განხორციელების პროცესში, რამდენად იქნება დაცული კერძო სამართლებრივი სიკეთის ხელშეუხებლობის პრინციპი და რა წარმოადგენს გარანტს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და სანდოობისა საჯარო სამართლის სიკეთისთვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში.

საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საკითხი, ყველა არგუმენტის გათვალისწინებით და მიუხედავად, დგას დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტით წარმოდგენილ, განსაკუთრებით სამი მოსალოდნელი ინფრასტრუქტურული ცვლილების შემთხვევაში, რაც ეხება რკინიგზის გადატანას, აგლადის ქუჩაზე არსებული ვიწრო ყელის გაფართოებას, ქალაქის ცენტრალური ტერიტორიიდან სარკინიგზო ფუნქციის გატანის შემდგომ დიდუბის სადგურიდან ცენტრალურ ვაგზლამდე გამოთავისუფლებული ტერიტორიის (დაახლ. 150.0 ჰა) ათვისებას მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრის დანიშნულებისთვის.

ორგანიზაცია საკითხის საზოგადოებრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ წინადადებების განხილვა არ უნდა მოხდეს ფორსირებულ პირობებში, რამაც შესაძლებელია გამოსწორებელი ზიანი მიაყენოს თბილისის ეკონომიკურ, ურბანულ თუ პოლიტიკურ ინტერესებს. სამწუხაროდ, საკითხის და გამოწვევების კრიტიკული ანალიზი არ გვხდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების არც ერთ ნაწილში. პროცესები უდავოდ წარმოადგენს კანონით დაშვებულ საჯარო ინტერესის სფეროს, სადაც საზოგადოების ყველა წევრის აზრს გააჩნია პრიორიტეტული მნიშვნელობა. ამასთან, დოკუმენტი არ საუბრობს თავად სახელმწიფოს ხედვაზეც, თუ რამდენად სწორადაა დანახული რკინიგზის გადატანა, აგლადის ქუჩაზე არსებული ვიწრო ყელის გაფართოება, ქალაქის ცენტრალური ტერიტორიიდან სარკინიგზო ფუნქციის გატანის შემდგომ დიდუბის სადგურიდან ცენტრალურ ვაგზლამდე გამოთავისუფლებული ტერიტორიის (დაახლ. 150.0 ჰა) ათვისება მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრის დანიშნულებისთვის მართლზომიერ პრიორიტეტულ მიმართულებებად, როგორი ქალაქი იქნება თბილისი აღნიშნული ობიექტების შეცვლის შემდგომ და რამდენად პროპორციულია მათ ნაცვლად რეკრიაციული ღონისძიებები, ტრანზაის დაბრუნება ან სულაც ველობილიკები. ამასთან, არც წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტით და არც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილი არც ერთი შეფასებითი დოკუმენტიც არ არის დასაბუთებული ცვლილებების გავლენა და მისი თანმდევი სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგები კონკრეტულად იმ პირთა წრის მიმართ, რომლებიც ამჟამად საქმიანობს აგლადის ქუჩასა და დიდუბის სადგურიდან ცენტრალურ ვაგზლამდე არსებულ სივრეში და თავისუფლად ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დოვლათს სახელმწიფოსთვის და

შრომით ბაზარზე, ანვითარებს მცირე და საშუალო მეწარმეობასა და ბიზნესს, გააჩნია საკუთრების უფლება და სხვა. დაუდგენელია მათ მიმართ ალტერნატიული წინადადებების საკითხი, შესაძლო კომპენსაციის და საკუთრების უფლების დათმობასთან დაკავშირებით არსებული სამართლიანი ფასის პრინციპი. ამასთან, **ორგანიზაცია მონიტორინგის ფარგლებში მიდის დასკვნამდე, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის აღსრულება არ ითვალსიწინებს შესაბამისი ფინანსური დანახარჯის მონაცემს.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის 2017 წლის ბიუჯეტი კი, მსგავსი მასშტაბური პროექტების დაფინანსებას არ ითვალსიწინებს და თუკი მისი ფინანსური დაზუსტება მოხდება, მნიშვნელოვანია რომელი პრიორიტეტული სფეროსა და მიმართულების ხარჯზე შემცირდება ბიუჯეტი ან/და რა ალტერნატიული დაფინანსების წყარო იქნება მიჩნეული დოკუმენტის აღსრულებისთვის.

შეჯამების სახით, ორგანიზაცია, ცალკე გამოყოფს და ყურადღებას დაუთმობს ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წლის 5 ივნისს მიღებულ *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმას*, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად, უკვე რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. მთავარი კითხვა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხზე დაისმის. ამასთან, დადგენას მოითხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქმედება, რომელმაც თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში ასახა. მოცემულ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა სახელმწიფო უწყებას ადგილობრივი თვითმმართველობიდან წარმოდგენილი დოკუმენტის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მისი უპირობოდ რეგისტრაციის კანონიერი საფუძვლები.

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმას* ნამდვილად შემოაქვს *ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციისა და დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურმა გეგმის* ცნება და ნორმატიული შინაარსი, რომელიც „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამოთვლილ ტერმინთა განმარტებაში ცალკე სახით არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულის თაობაზე განმარტებას არ იძლევა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე არსებული არც ერთი საკანონმდებლო აქტი. აღნიშნულის თაობაზე მსჯელობა არ არის არც „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონში, რომელსაც საფუძვლად მიუთითებს ქალაქ თბილისის საკრებულო 2009 წლის გადაწყვეტილების მიღების დროს. აღნიშნულის თაობაზე ცალკე ტერმინი და ნორმატიული შინაარსის განმარტება არ მოიძებნება არც 2014 წლის თებერვალში მიღებულ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“. კანონმდებლობაში მხოლოდ საუბარია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თაობაზე, რომელიც თავის მხრივ, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განმარტებულია, როგორც ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, თუმცა მისი მრავალმხრივი შინაარსობრივი მნიშვნელობის მიუხედავად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას არ გააჩნია *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის* იურიდიული სტატუსი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. კანონის მე-7 მუხლით, საქართველოს საკანონმდებლო აქტია საქართველოს კანონი, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წელს მიღებული გადაწყვეტილება *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ* წარმოადგენს

კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ვინაიდან სამართლებრივ საფუძვლებს იღებს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონებთან ურთიერთქმედებით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ითქვას, თუ: გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნორმატიულ აქტს არ ახლავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა ან გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნორმატიული აქტის შინაარსი არ შეესაბამება მისი პროექტის შინაარსს, რომელზედაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გასცა დადებითი დასკვნა. ამავე კანონის 25-ე მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული აქტის გაუქმების შემთხვევასაც. კერძოდ, „თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს“.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი 2009 წლის *დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ* გადაწყვეტილების ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციამდე და პროექტის მიმართ დადებითი დასკვნის მომზადებამდე, უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად პასუხობდა ქალაქ თბილისის საკრებულოს დასახელებული დოკუმენტი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონთან ზუსტ შესაბამისობას და დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები და დოკუმენტის სახელწოდება გამომდინარეობდა თუ არა დოკუმენტში მითითებული „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონების ზუსტ ქვემდებარეობასთან.

5. რეკომენდაციები

1. ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია ყველა დაინტერესებული მოქალაქისთვის მოხდეს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული საპროექტო დოკუმენტის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, დოკუმენტი გამოქვეყნდეს და მოქალაქეებს მიეცეთ გონივრული ვადა წინადადებების, შეფასებებისა და ალტერნატიული ხედვების წარმოდგენისთვის;
2. ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ფორსირებულად, დაჩაქრებული წესით, საზოგადოებრივი აზრისა და სპეციალისტების ჩართულობის გარეშე, არ მიიღოს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი, გასწორდეს და არსებულ საკანონმდებლო-რეგულაციის წესებთან შესაბამისობაში მოვიდეს დოკუმენტის ხარვეზული მხარეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ობიექტებს შეექმნათ მეტი დაცულობის საფუძვლები;
3. ორგანიზაცია თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საკითხის მნიშვნელობისა და ცვლილებების მასშტაბურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს დოკუმენტის მისაღებობის საკითხზე თბილისის მოსახლეობის აზრის დადგენას. ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციას საჭიროდ მიაჩნია, დოკუმენტის მიმართ სამართლებრივი და პოლიტიკური დამოკიდებულება დადგინდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, ქალაქ თბილისში მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვით - პლემბისციტის ჩატარების უზრუნველყოფით.
4. ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის კენჭისყრის საკითხი დადგეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული, ახალი ლეგიტიმაციის შედეგად ფორმირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირობებში.
5. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის იმპლემენტაციამდე, აუცილებელია მომზადდეს ანალიზი, რომელიც შეეხება საქართველოს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ზემოქმედების ფარგლების მიზანშეწონილობასა და მათი თავიდან არიდების, საფრთხის აღმომფხვრელ წინაპირობებს;
6. ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია, სათანადო დასაბუთება მიეცეს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტით შემოთავაზებული ისეთი ინსტიტუციური ცვლილებების მიზანშეწონილობას, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებით სამ მოსალოდნელ ინფრასტრუქტურულ ცვლილებასთან - რკინიგზის გადატანა, აგლამის ქუჩაზე არსებული ვიწრო ყელის გაფართოება, ქალაქის ცენტრალური ტერიტორიიდან სარკინიგზო ფუნქციის გატანის შემდგომ დიდუბის სადგურიდან ცენტრალურ ვაგზალამდე გამოთავისუფლებული ტერიტორიის (დაახლ. 150.0 ჰა) ათვისება მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრის დანიშნულებისთვის.
7. ორგანიზაცია აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის იმპლემენტაციამდე, ცვლილებების სათანადო ფინანსური დოკუმენტის შექმნა, სადაც მკაფიო გახდება მგგ-ის ფინანსური მხარე,

ასევე კერძო ინტერესების შეზღუდვის შემთხვევებისთვის წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციის პირობები, სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის შემთხვევაში ალტერნატიული წინადადებათა დასაბუთების და მათი ეკონომიკურად მომგებიან სივრცეები გადანაწილების საკითხი;

8. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და მისი შემდგომი იმპლემენტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, შეიქმნას ინსპექტირების ან/და საზედამხედველო ჯგუფი, რომელიც აწარმოებს მონიტორინგს გეგმით გათვალისწინებული პირობების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულების თაობაზე და იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენას.

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12

ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდად არასამთავრობო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციას. 2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი. 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრ ორგანიზაციას. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 2014 წელს გაწევრიანდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, ხოლო 2014-2017 წლებში საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის დეკემბრიდან მონაწილეობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში. 2016 წელს, ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში. ამასთან, 2015 წლის 30 აპრილს, ორგანიზაციამ დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“, რომელიც განახლდა 2016 წლის აპრილში გამოცხადებული კონცეფციის შედეგად. ორგანიზაციის სამოქალაქო ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, რომლებსაც საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. ორგანიზაცია მიმართულია კვლევით საქმიანობაზე, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, საკანონმდებლო წინადადებებს, ჩართულია ახალგაზრდული პოლიტიკის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეფორმების შეფასებაში. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2017-2018 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

*„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი
წარმოდგენილი კვლევის შესახებ.*

*თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com*